ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 78 (18620) კვირა, 3 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲑᲘᲜᲐᲗᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ — ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲒᲠᲫᲔᲚᲘ დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საცხოვრებელი სახლების და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში, სკკპ XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული სოციალური პროგრამის შესაბამისად, ფართო მასშტაბით ხორციელდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

ამავე დროს ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მთლიანად პარტიის მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ბევრ მშრომელს სჭირდება საბინაო პირობების გაუმჯობესება. არასახარბიელო ვითარება იქმნება სკოლამდელ ბავშვთა დანესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობასთან დაკავშირებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობა. ყოვლად გაუმართლებლად მცირდება საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური მშენებლობის მოცულობა, განსაკუთრებით სოფლად, ნელა ვითარდება საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია.

საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულება დიდი ამოცანაა, რომელსაც დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ამ ამოცანის გადაწყვეტაში, ნათქვამია დადგენილებაში, განმსაზღვრელ როლს ასრულებს საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1983 წლის გეგმის შესრულება.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? დასმულ კითხვაზე ერთბაშად პასუხს ვერ გასცემ. უნდა დავიწყოთ იმით, რომ სამოცდან წლებში, და უფრო ადრეც, ბინათმშენებლობის სახელმწიფო დავალებანი არ სრულდებოდა. სამოცდაათიან წლებში, როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით გარდატეხა დაიწყო და შედეგმაც არ დააყოვნა. მეათე ხუთწლედში საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ ბავშვთა დანესებულებების და პროფტექნიკური სასწავლებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები წარმატებით შესრულდა.

ეს განპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებამ, ბინათმშენებლობის საკითხი გახდა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის უპირველესი, უმთავრესი საზრუნავი. ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდება მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეს ხმარდება. სხვა რაიმე ღონისძიებებისათვის, რა მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ისინი, ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრებიდან არც ერთი კაპიკი არ იხარჯება და არც დაიხარჯება.

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲗ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ცდილობენ გამონახონ დამატებითი შესაძლებლობანი ჩვენს რესპუბლიკაში ბინათმშენებლობისა და სოციალური საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობის ზრდისათვის. ამას მოწმობს, თუნდაც, ჩვენი ქვეყნის დარგობრივი სამინისტროების საგანგებო ბრძანებანი, რომლებიც რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და ერთიანობის ისტორიის შესანიშნავ თარიღს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება. ბრძანებათა თანახმად, მიმდინარე და მომდევნო წლებში რესპუბლიკის ეკონომიკის საწარმოო, სატრანსპორტო საშუალებათა ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მოცულობა. მარტო ერი ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ნ. ნ. ტარასოვი, რესპუბლიკაში აშენდება 27 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 280 ბავშვისათვის გათვალისწინებული ბაგა-ბაღები. დარგობრივი სამინისტროების იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება, გაზეთი „კომუნისტი“ უკვე ანვდის და მომავალშიც მიაწვდის მკითხველს ინფორმაციას. ყველას ექნება საშუალება დარწმუნდეს, რომ ეს ბრძანებანი ნამდვილი ძმობისა და მეგობრობის, საბჭოთა ხალხების ერთიანობის დამადასტურებელი ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ დოკუმენტებია, დიახ, დოკუმენტები, რომელთა მნიშვნელობასაც მომავალში, ალბათ, ბევრი ისტორიკოსი ვერ აუვლის გვერდს.

კარგად დაიწყეს მშენებლებმა მეთერთმეტე ხუთწლედიც. შარშან ბინათმშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და შარშანწინანდელთან შედარებით საექსპლოატაციოდ 56,2 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა. ახალი სკოლის მერხს მიუჯდა 19.469 მოსწავლე — გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი. რაც შეეხება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, მათი მშენებლობის გეგმა 103 პროცენტით შესრულდა, ახალ ბაგა-ბაღებს კი 6240 პატარამ მიაშურა.

ზემოთქმულის ფონზე, ჩვენ მშენებლებისაგან მეტს ველით. ვვარაუდობდით, რომ მუშაობის ტემპი უფრო დაჩქარდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე წლის ორი თვის შედეგები მაინც დამაინტერესებელია. არადა, გასაკეთებელი ბევრია. წლეულს სახელმწიფოს, კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯზე საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1091,9 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან 94,2 ათასი კვადრატული მეტრი — პირველ კვარტალში. მუშაობის უფრო სწრაფი ტემპია საჭირო სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა და სამედიცინო დანესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, კომუნალური ობიექტების მშენებლობის დავალებათა შესრულებისათვის.

ზოგიერთი სამშენებლო ტრესტი, მათდამი დაქვემდებარებული სამშენებლო სამმართველოები ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობენ, ვერ იყენებენ რაციონალურად კაპიტალურ დაბანდებებს. არასახარბიელოა საქმის ვითარება სოფლად. სამეცნიერო და სამედიცინო დანესებულებების, სკოლების, ბაგა-ბაღების აგებას მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ეს ობიექტები ხშირად უხარისხოდ შენდება. სუსტი კონტროლი ეწევა მათი მშენებლობის მიმდინარეობას, მთელი სიმკაცრით არ სთხოვენ პასუხს იმათ, ვისაც ჩამორჩენაში მიუძღვის ბრალი.

მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციების, უწყებების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბევრ ხელმძღვანელს ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა ჯერ კიდევ არ მიიჩნიათ უპირველესი მნიშვნელობის საქმედ. ურიგდებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებლობის ფაქტებს, არლვევენ შენობათა საექსპლოატაციოდ მიღების წესებს. ამ მიმართულებით, უკანასკნელ ხანებში, არასასიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ქუთაისსა და ფოთში, რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში.

მართალია, ზოგიერთი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივების მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს, მაგრამ ხარისხობრივ მაჩვენებლებს ცოტა თუ დაიკვეხნის. საქმე ის გასაკვირია, რომ ხშირ შემთხვევაში საეჭვოა ის „ფრიადი“ შეფასებანი, რომლებსაც ხანდახან კომუნალურ და სოციალური დანიშნულების ობიექტებს აძლევენ. ეს განსაკუთრებით საცხოვრებელ სახლებს ეხება. ამ „ფრიადოსანი“ ბინების გარკვეულ ნანილს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ხარვეზებით და ახალმოსახლენი იძულებულნი არიან დიდძალი სახსრები და დრო მოახმარონ მათს აღმოფხვრას. ხელახლა კეთდება ფანჯრები, იატაკი, სანიტარიული ტექნიკა, ილესება კედლები. ამგვარად, უთავბოლოდ იხარჯება ცემენტი, ხე-ტყე და სხვა საშენი მასალები.

ამასთან სახელმწიფო გეგმების შესრულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ საშენი მასალებით, ნედლეულის რესურსებით მშენებარე ობიექტების ურიტმო მომარაგება. ჯერჯერობით ვერ გარდაქმნეს მთლიანად მუშაობა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. მშენებლები და მეონტაჟეები ვერ იღებენ საჭირო რაოდენობის ცემენტს, აგურს, ლითონს, ხე-ტყეს, ინერტულ მასალებს. მრეწველობის პროდუქცია ხშირად არ შეესაბამება დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს. მიმდინარე წლის ორ თვეში მშენებლებს 38 ათასი ტონა ცემენტი დაეკლდათ და ეს ცოტა როდია.

მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, საექსპლოატაციოდ გადასაცემ ნაგებობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რეზერვებს. კარგა ხანია დამტკიცდა, რომ მუშაობის ბრიგადული ფორმა მნიშვნელოვნად აჩქარებს მშენებლობის ტემპს, და, რაც მთავარია, აუმჯობესებს მის ხარისხს.

ბრიგადული იჯარის მასობრივი გაუვრცელებლობის ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზი ის გახლავთ, რომ ბრიგადები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი სანარმო-ტექნოლოგიური კომპლექტაციით, გასაუმჯობესებელია ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ბრიგადების მიერ საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევათა უმეტესობა აღნიშნული ნაკლოვანებების ბრალია.

საქართველოს სსრ „სახმშენი“ ვერ უნევს ყოველთვის სათანადო კონტროლს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულებას. ნელა ინერგება საცხოვრებელი სახლების ახალი პროგრესული სერიები. ძალიან გაჭიანურდა საბინაო მშენებლობაში გამოსაყენებელი უნიფიცირებული დეტალებისა და კონსტრუქციების კატალოგების შემუშავება.

რესპუბლიკის მშენებლობისა და სოფლის მშენებლობის სამინისტროების, საუწყებო მოიჯარე ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. ეს ობიექტები ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ რიგში უნდა აღიჭურვონ აუცილებელი მასალებითა და მოწყობილობით. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა განახორციელოს ღონისძიებანი საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაგეგმვის სრულყოფისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლოვდება რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და ერთიანობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. ორი ხალხის ზეიმი საბჭოთა ხალხების დღესასწაულად იქცევა. ამ თარიღისათვის ემზადებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელები.

ჩვენი საჩუქარი ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი, ცხადია, ახალი დიდი შრომითი გამარჯვებანი იქნება. უნდა მივაღწიოთ წარმატებებს ეკონომიკის ყველა დარგში, მშენებლობაში და, კერძოდ, საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში. ეს საკითხი, როგორც არაერთხელ თქმულა, გახლავთ ჩვენი პარტიის პოლიტიკის შემადგენელი ნანილი, მისი უპირველესი, უმთავრესი საზრუნავი. პირველ კვარტალში უნდა შეექმნათ მარაგნამეტი, რომელიც ხელს შეუწყობს წლიური გეგმის უთუო და გადაჭარბებით შესრულებას.

ამიტომ სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი მშენებელთა საქმიანობისადმი, განამტკიცონ შრომისა და სანარმოო დისციპლინა, გაბარდონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დავალებათა, სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის. უნდა მივაღწიოთ მშენებლების, შემონტაჟეების, შემკვეთებისა და დამპროექტებლების ერთსულოვან, შეთანხმებულ მოქმედებას. ამისათვის უნდა სრულვყოთ ნარმოების დაგეგმვისა და მართვის მეთოდები, გამოვაქლინოთ რეზერვები და ჩავაყენოთ ისინი ხალხის სამსახურში. ამ მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის უნდა ნარმართოთ სოციალისტური შეჯიბრება.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „ბახტრიონის“ კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ჭარხნის კოლეგიტივის პატრიოტულ ინიციატივას „ხანმოშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში“.

გაერთიანების კოლექტივმა შარშანდელი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა და ახალი ენერგიით შეუდგა მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. აქ ზრუნავენ როგორც პროდუქციის რაოდენობის გადიდებისათვის, ასევე მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „ბახტრიონის“ მეთაური საწარმოს სამკერვალო საამქროს მოწინავე მკერავი მანანა გაგნიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ: ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გააკეთეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის განმტკიცების მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად. საქმარისია ითქვას, რომ ოცდაათიოდე წლის წინათ აქ თითქმის სრულებით არ იყო მეფენახოვნება განვითარებული. ამჟამად წითელწყაროო მეფენახეობისა და ქართული ღვინო-მასალების მწარმოებელი ერთ-ერთი რეგიონია. ყველაზე მოუსავლიან 1982 წელსაც კი რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აწარმოვეს 80.4 ათასი ტონა ყურძენი, ანუ 12-ჯერ მეტი 1972 წელთან შედარებით. წითელწყაროს შესაძლებლობებზე მეტყველებს ის, რომ ხალხმა შირაქნის და ალაზნის ველს საქართველოს პურის ბელელი უწოდა. უდიდესი რეზერვები და პერსპექტივებია მეცხოველეობის განვითარების, საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საგრძნობლად გაზრდის თვალსაზრისით.

ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი უმდიდრესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე და პერსპექტიული რაიონის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული პრობლემა და გადაუწყვეტელი საკითხია. და სწორედ აღნიშნული შესახებ გაიმართა პრინციპული საუბარი პარტიის წითელწყაროს რაიკომის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელების ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. ა. ფიროსმანაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა მ. ჯ. მაძღარაშვილმა, ზემო ქედისა და ჯაფარიძის თავმჯდომარეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ა. ა. კობაიძემ, ნ. ხ. ყოჩიაშვილმა, არბოშიკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. თ. ოთარაშვილმა, სამთაწყაროს მევენახეობის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორმა ბ. ბ. გონაშვილმა, წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. გუნენკომ, შირაქის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა მ. ვ. ფიროსმანაშვილმა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ ნ. ი. მამაიაშვილმა, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ო. ა. ალეფლიშვილმა.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა გააანალიზა რაიონის პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების საქმიანობა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, მისი შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის.

პლენუმზე გამართული საუბრის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი იყო წითელწყაროს რაიონის განკარგულებაში არსებული ისეთი სიმდიდრეების აქტიურად გამოყენება, როგორიცაა ვრცელი და ნოყიერი სავარგულები და სახნავ-სათესი მიწები, ვენახები და ხეხილის ბაღები, სათბები და საძოვრები, სათანადო ტექნიკით აღჭურვილი მეურნეობები და ის, რომ რაიონს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საერთო-რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამის მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ 1970 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 148 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება გამოიყო.

რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დიდმნიშვნელოვანი საშუალება — მელიორაცია. გასულ ხუთწლედებში რაიონში სამელიორაციო სამუშაოებზე 31 მილიონი მანეთი დაიხარჯა. აშენდა ყაზისხევის, თელაწყლის, კრანჩისხევის წყალსაცავები, რომელთა საერთო მოცულობა 8 მილიონი კუბური მეტრია. ამჟამად შენდება ზილიჩის მასივის სარწყავი სისტემის პირველი და მეორე რიგი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სარწყავი სისტემები, რომელთა ამოქმედების შემდეგ რაიონს 11.000 ჰექტარი სარწყავი ფართობი შეემატება. იწყება 180 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის დალის მთის წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც 16 ათას ჰექტარს გაიწყლოვანებს. მალე დაიწყება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ 40 ათასი ჰექტარი შირაქის მიწა მიიღებს მაცოცხლებელ ტენს, და ამ რეგიონში მთლიანად გადაწყდება სარწყავი წყლის პრობლემა. XI-XII ხუთწლედებში რაიონში მარტო წყალთა მეურნეობის ღონისძიებების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 120 მილიონი მანეთი.

სარწყავი მიწათმოქმედების შედეგიცაა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში 1972 წელთან შედარებით მთელიანი პროდუქციის წარმოება თითქმის 15 პროცენტით გაიზარდა. მეათე ხუთწლედის ყოველ წელს საშუალოდ მიღებული 38 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები. სისტემატურად ზრდიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზემო ქედისა და გამარჯვების კოლმეურნეობები. მარშანდელი ცუდი ამინდის პირობებშიც კი ამ კოლმეურნეობებმა ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიეს და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსადმი მისი მიყიდვის დავალება. ზემო ქედის კოლმეურნეობის ყოველმა შრომისუნარიანმა წევრმა წელიწადში 5.504 მანეთის პროდუქცია აწარმოვა, რაც მაღალი მაჩვენებელია ქვეყნის მასშტაბითაც. მყარ შედეგებს აღწევენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხოველეები.

— დასახელებული მეურნეობების გამოცდილება, რომლებიც წარმოებას უძღვებიან მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული ზონალური სისტემის საფუძველზე, ეფექტიანად იყენებენ ინტენსიფიკაციის ბერკეტებს: მექანიზაციას, მელიორაციას, ქიმიზაციას, შრომით რესურსებს, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს, ღრმად უნდა გავაანალიზოთ, შევისწავლოთ და ფართოდ დავნერგოთ, რადგან მას შეუძლია

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲒ.).

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲜᲘ

საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდება აქტივის კრებები, რომლებზეც რესპუბლიკის მშრომელები იხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. კრებების მონაწილენი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შრომითი ნობათებით შეხვდნენ ღირსშესანიშნავ თარიღს, კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, მიღებულ რეზოლუციებში აცხადებენ, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ

„ᲐᲠᲢᲝᲙᲚᲐᲡᲣᲠᲘ“ უჯრედებიდან ქილების განტვირთვის ხაზები წარმატებით გადის გამოცდას როსტოვის რძის ქარხანაში“ — ასეთი ცნობა მიიღეს ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. ხაზი ააწყო საწარმოს ბრიგადამ, რომელსაც გ. პეტრენკო ხელმძღვანელობს.

მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადება. საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის ჩაის ფაბრიკებში ახლდება ტექნოლოგიური მოწყობილობა. საწარმოებში მისული ყველა მანქანას ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მარკა აქვს, ეს კი ბევრ რამეს ავალებს მათ. უკვე დამზადებულია ასობით მანქანა ჩაის ფაბრიკებისათვის, დავალება გრაფიკის გასწრებით სრულდება.

ეს ითქვა აქტივის კრებაზე, რომელმაც მეიმუშავა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი. ამხანაგების წინაშე გამოსვლის დროს საწარმოს მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელებმა ა. ალექსანდროადმი, მ. ღლონტმა, ი. ადილოვმა, პ. ვოლოშინმა და სხვებმა წინადადება წამოაყენეს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად დევიზით — „ვადამდე შევასრულოთ ყველა შეკვეთა კვების მრეწველობის ახალშენებლობებისათვის“. აქტივის კრებაზე გადაწყდა დავალების დამატებით გამოუშვან 400 ჩაის საპრელი მანქანა, 19 შემრეკი დანადგარი, 12 საღონობი აგრეგატი, 15 ვიბროსახარისხებელი დანადგარი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲖᲔ“ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲜᲐ

ᲓᲠᲝᲨᲔᲚᲔᲑᲘ, კორპუსები, გაშლის ბლოკი, სხვა კვანძები, რომლებსაც თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანი“ ქვეყნის სხვადასხვა საწარმოდან იღებს, იქცა ტელევიზორებად, „ევერია-ც-202“ რომ ჰქვიათ.

ამ მარკის ტელევიზორებმა მოგზარებელთა აღიარება დაიმსახურეს.

ქარხანაში გამართულ აქტივის კრებაზე კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვას 4650 ტელევიზორი, აქედან 650 — გეგმის გადამეტებით, ასევე გადაწყდა გამოუშვან ათიათასობით მანეთის სხვა პროდუქცია. საწარმოს მოწინავე მუშაკებმა — მოდულების აწყობის საამქროს მარეგულირებელმა ა. ყიფიანმა და ტელევიზორების აწყობის საამქროს მარეგულირებელმა ლ. ფრიდინსკიმ ვალდებულება იკისრეს გამოუშვან 30 ერთეული ზეგეგმითი პროდუქცია, უზრუნველყონ რეგულირების მაღალი ხარისხი.

— სოციალისტურ ვალდებულებათა ეს პუნქტი ეხება მხოლოდ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, — თქვა ქარხნის პარტკომის მდივანმა გ. პატარაიამ. — კრებაზე კი დავსახეთ ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება არსებითად აამაღლებს წარმოების ეფექტიანობას. ჩვენ ვიწყებთ სხვადასხვა კვანძის ათვისებას, რათა გადავიდეთ ისეთი ტელევიზორების გამოშვებაზე, რომელთა ყველა კვანძი ჩვენს საწარმოში დამზადდება. ამაში გვეხმარებიან მოსკოვის, ლვოვის, ნოვგოროდისა და სხვა ქალაქების ტელევიზორების ქარხნები.

აქტივის კრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ამ საწარმოთა შრომითი კოლექტივები თბილისელ კოლეგებს უზრუნველყოფენ აუცილებელი ნაწილებით ახალი კვანძების წარმოებისათვის.

თბილისის ქარხანა „ეკრანის“ მუშაკთა დიდი ჯგუფი კვალიფიკაციას იმაღლებს ნოვგოროდის კადრების გადამზადების დარგობრივ ინსტიტუტში, როცა ისინი დაბრუნდებიან, შეგძლებთ გადაწყვეტოთ უფრო რთული ამოცანები, უზრუნველყოთ პროდუქციის უფრო მაღალი ხარისხი, საწარმოს ეკონომიკური და ტექნიკური ზრდა.

დადგა რა რუსი და ქართველი ხალხების დაძმობილების იუბილესადმი მიძღვნილ შრომითს ვანტზე, საწარმოს ინტერნაციონალური კოლექტივი მთელ ძალისხმევას მარს მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებას.

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲗᲐᲪ

— **სსრ** კავშირის სახმშენის ტიპობრივი დაპროექტების ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კომუნისტები, ყველა მუშაკი გამოხატავენ მტკიცე რწმენას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის ამოცანების გადაწყვეტას, — ჩაწერილია ინსტიტუტის აქტივის კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში.

კრებაზე გამოვიდნენ ინსტიტუტის დირექტორი გ. თემაძე, პარტბიუროს მდივანი ვ. ხაზიური, ინჟინერ-დამპროექტებლები მ. ენტინი, თ. გეგეჭკორი, ბ. ბოჟორიშვილი, ა. რადკევიჩი, კოლექტორის მუშაკი მ. ბეგლაროვა, ქალაქდის მჭრელი ფ. ლომძე, სხვები, რომლებმაც თქვეს, რომ დღესასწაულისათვის საუკეთესო საჩუქარი იქნება მათი ენერგიული, თავდადებული შრომა.

თბილისის ფილიალის მარკიანი პროექტები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იგზავნება, თქვეს კრების მონაწილეებმა. მათ ელიან ბაიკალ-ამურის მაგისტრალისა და „ატომმანქანის“, რაზდანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და „დონეცკქვანახშირის“ გაერთიანების, ალტაის კოქსქიმიური ქარხნისა და ვილნიუსის სათბობი აპარატურის ქარხნის მშენებლები. დროულად შეიმუშაონ ყველა ეს და მრავალი სხვა პროექტი, გაუგზავნონ ისინი შემკვეთებს — აი ამოცანა, რომელიც დღეს დგას ქართველი დამპროექტებლების წინაშე.

ინსტიტუტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულოს წლის დავალებანი, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს ჩააბაროს მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია, განახორციელოს ინსტიტუტის ახალი შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები, სადაც იგი ამას წინათ გადავიდა, გაამწვანოს მახლობელი ტერიტორია, განამტკიცოს დისციპლინა ყველა უბ

წითელწყაროს რაიონი: რეზერვები და პერსპექტივები

(დასასრული).

სარგებლობა მოუტანოს ყველა მეურნეობას, — ხაზგასმით აღნიშნა რაიკომის პლენუმმა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ერთ-ერთი გადაუდებელი საზრუნავია დაეხმაროს მიწათმოქმედებს და მეცხოველეებს მათს პრაქტიკულად ათვისებაში. ახლა მას კარგი შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ უკეთ გაუწიოს კოორდინაცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, „სოფლქიმიის“ და „სოფლტექნიკის“ გაერთიანებათა მეცადინეობას, რომლებიც წინათ განცალკევებულად და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. მას მუშაობის ყველა პირობა აქვს. იგი მიწის ერთიანი პატრონია სოფლად.

სწორედ ყოველივე ამის ფონზე, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, მით უფრო შეუწყნარებელია ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის რაიონის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში.

რამდენიმე წლის წინათ წითელწყაროს რაიონს რესპუბლიკაში წამყვანი პოზიცია ეკავა მარცლეულის წარმოებაში და მეზობელი რაიონები მისგან ბევრ რამეს სწავლობდნენ. საკმაოდ მყარ მოსავალს იწევდნენ ურწყავ ფართობებზეც კი — ჰექტარზე საშუალოდ 30-35 ცენტნერ მარცლეულს, 1976 წელს ეს შედეგები კიდევ უფრო დიდი იყო. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში რაიონმა ამ დარგში დათმო პოზიციები. მარცლეულის მოსავლიანობა გაზრდილ ნაკვლად შემცირდა. ამ საზიანო ტენდენციას ისე შეეგუენ, რომ მან თავისი უარყოფითი ასახვა პოვა რაიონის სასურსათო პროგრამის შემუშავებაშიც. მარცლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე 1985 წლისათვის დაგეგმილია 31 ცენტნერი, ხოლო 1990 წლისათვის იგი 34 ცენტნერამდე უნდა გაიზარდოს. თუმცა ეს მაჩვენებელი იმაზე ბევრად ნაკლებია, რომლის ზღვარსაც რაიონმა დიდი ხანია გადააჭარბა.

დასახული მოჭიდნი არც მეცხოველეობაში შეესაბამება იმ შესაძლებლობებს და კაპიტალურ დანახარჯებს, რომლებიც გვთავალისწინებულია რაიონისათვის.

მთავარია, აღინიშნა პლენუმზე, სწორად დავგეგმოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, გავითვალისწინოთ მაქსიმალური ფონდუკუგება, ყველა კულტურის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება, ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოება. ასეთია დროის მოთხოვნა, სადღეისო ამოცანა. იმის გამო, რომ რაიონში სისტემატურად იზრდება ვენახების ფართობები და მცირდება სახნავსათესი მიწები, მარცლეულის წარმოების მკვეთრ გადიდებას უნდა მივაღწიოთ არსებულ ფართობებზე მოწნილი აგროტექნიკის გამოყენების გზით.

პლენუმზე საუბარი შეეხო დისციპლინის განმტკიცებას მისი ყველა ასპექტით, რაც სახალხო მეურნეობის წარმატებული წამოსვლის თავიდათავია. განსაკუთრებით უნდა განვამტკიცოთ და ავამაღლოთ პარტიული დისციპლინა, რომლის ცნება ოვისებრივად ახალი შინაარსით შეივსო და გამდიდრდა. იგი უკვე გულისხმობს არა მარტო პარტიულ დირექტივებისა და გადაწყვეტილებების უეჭველ შესრულებას, არამედ კომუნისტთა შემოქმედებით აქტიურობის ახალი ძალით აღმავლობას, მათ უშუალო მონაწილეობას საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში, ახალი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. ყოველივე ეს მკაფიოდ არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, დებულებებსა და დასკვნებში, რომლებიც ამ პლენუმზე და მოსკოველ ჩარჩშენებლებთან შეხვედრაზე ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად რაიონში შრომის დისციპლინა ერთგვარად გაუმჯობესდა. მაგრამ ამ მხრივ მაინც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. 1981 წლის საკომეურნეო შრომაში სრულიებით არ მიუღია მონაწილეობა 550 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ანუ მოლიანად შრომისუნარიან კოლმეურნეთა 7,1 პროცენტს, ხოლო 877 კოლმეურნეს ანუ 12,2 პროცენტს არ გამოუმუშავებია „აღდგენის საავალდებულო მინიმუმი. არბიშიკისა და ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობებში სამუშაოდ არ გამოდის კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი.

კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ კონკრეტულად ვერ წყვეტენ შრომის დისციპლინის საკითხებს.

რაიონის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა უფრო მომთხოვნელად და პრინციპულად უნდა შეაფასონ ადამიანთა დამოკიდებულება მუშაობისადმი, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი, აამაღლონ პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომის ავტორიტეტი, მიაღწიონ, რომ თითოეული ასრულებდეს თავის საწარმოო დავალებას, აღწევდეს მაღალ მაჩვენებლებს მეურნეობრიობასა და კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ ი. ვ. ანდროპოვის ხატოვანი გამოთქმა: „წესრიგის დამყარება ნამდვილად არ მოითხოვს რაიმე კაპიტალურ დაბანდებას, ეფექტს კი უდიდესს იძლევა“.

პლენუმზე ითქვა, რომ აქტიური ძიებაა საჭირო შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმებისა, რომლებიც ორგანულად იქნება დაკავშირებული საბოლოო შედეგებთან. ამჟამად რესპუბლიკაში გაბედულად ინერგება ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიცაა შრომის მატერიალური წახალისება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უგანრიგო ბრიგადების მეთოდით მუშაობა, ანუ კოლექტიური იჯარა. მათი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევს. მაგალითად, იქ, სადაც უგანრიგო ბრიგადები მუშაობენ, შრომის ნაყოფიერება და მოსავლიანობა გაიზარდა ორჯერ, ხოლო შრომის ანაზღაურება — სამჯერ და უფრო მეტად; მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნატურალურ ანაზღაურებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა დაინტერესებისათვის.

პლენუმზე ითქვა, რომ რაიონის შრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას — „პატივი და დიდება — შრომის მიზეზით“, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას— „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა, პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან ყველგან და ყველაფერში“, ბორის რაიონის ტყვიავის ლადო ქეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი კოლმეურნეობის ინიციატივას — „შრომისა და დისციპლინის ხარისხი სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველია“. და საჭიროა, აღინიშნა პლენუმზე ამ განწყობილებას მოყვეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, თავდადებული შრომა გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, კომპლექსური მიდგომა წარმოების მართვის საკითხებისადმი, ზრუნვა იმისათვის, რომ შემცირდეს მატერიალური დანახარჯები, მიღწეულ იქნეს მომჭირნობა და ყაირათიანობა, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, დაიფაროს წინა წლების დანაკლისი, დაძლეულ იქნეს ჩამორჩენა და უთუოდ შესრულდეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებები.

როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე ვლაპარაკობთ, — აღინიშნა პლენუმზე,— უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, რომელმაც ძირითადად უნდა გადაწყვიტოს სასურსათო პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და ნედლეულით დაბმულ მრეწველობის მომარაგების რიული ამოცანები. მაგრამ ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პირადი დამხმარე მეურნეობის როლი სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის საქმეში.

— საქმეს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად ვეკიდებით, ზოგჯერ კი უხეშ შეცდომებს ვუშვებთ, — თქვა პლენუმზე. — იყო დრო, როცა მოსახლეობის მიერ საკარმიდამო მეურნეობაზე უარის თქმა პროგრესულ მოვლენად ითვლებოდა. ამიტომ დაიწყო საკარმიდამო ნაკვეთების და პირუტყვის ყოლის ნორმების ხელაღებით შემცირება. ამ არასასურველ მოვლენას ვერც წითელწყაროს რაიონი ასცდა. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ ერთ დროს ისიც ითავა — მოსახლეობას რძის პროდუქტებით ჩვენ დავაკმაყოფილებთო, და მას აუკრძალეს ძროხების ყოლა. ეს ნაბიჯი ძირშივე მცდარი იყო და დროულადაც იქნა დაგმობილი, მაგრამ თავისი არასასურველი კვალი კი დატოვა — მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა. პირადი დამხმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებების მიღების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. რაიონში მეტი გავრცელება უნდა პოვოს საზოგადოებრივი მეურნეობების კოოპერირებამ მოსახლეობასთან. ამ გზით უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობისაგან სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა, პირად დამხმარე მეურნეობაში მომრავლდა პირუტყვი. ამჟამად კოოპერირების ფორმები კიდევ უფრო იხვეწება და გამოკვეთილ სახეს იძენს. ყველაფერი ეს ერთნაირად შეესაბამება მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის პლენუმმა, რომელმაც ჩაიარა მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით, გამოუყენებელი რეზერვების, პერსპექტივების ნათლად ხედვით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, მოითხოვა პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლება სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

მიზანსწრაფული, მიზანმიმართული გავხადოთ პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა, ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, შემოქმედებითი ინიციატივა, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში, რომელმაც უკანაკნელ წლებში ერთგვარად შეაფერხა რაიონის წინსვლა, წარმოების ზრდის ტემპი — ასეთი იყო პლენუმის ერთ-ერთი მთავარი განაწესი.

პლენუმმა კრიტიკულად შეაფასა რაიონის ეკონომიკის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და გამოთქვა რწმენა, რომ კომუნისტები მთელ თავიანთ მეცადინეობასა და მონდომებას, ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას, რეზერვების ამოქმედებას, პარტიული და სახელმწიფო დავალებების უთუოდ შესრულებას, დისციპლინის განმტკიცებას საბოლოო მაღალი შედეგების მიღწევისათვის.

სათავეში ჩაუდგეთ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებას, მთელი ძალით გავაჩაღოთ ორგანიზებული შრომა მინდვრებსა და პლანტაციებში, რათა მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელს საუკეთესო აგროვადებში ჩავატაროთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოვლა, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ და დავაბინაოთ მოსავალი, სიუხვის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური რესურსები, მეცნიერების მიღწევები, კვლავაც დაუცხრომლად ვეძიოთ საქმისათვის სასარგებლო მატერიალური და მორალური წახალისების საუკეთესო ფორმები, წელსვე მიგაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას და შემობრუნებას სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში, რათა რაიონმა დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები, წარსული ღირსება და დიდება, კვლავაც ჩადგეს მოწინავეთა რიგებში, — ასეთია პლენუმის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

* * *

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ჟ. ა. ყარაულაშვილი.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გ ბ. ჭარაქაშვილი.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲗ!

გაზაფხულის ამ ლამაზ თვეში იწყება გეოლოგების ყველაზე ინტენსიური საქმიანობა. ეს პროფესია აღსავსეა რომანტიკითა და ვაჟკაცური შემართებით. საქმის სირთულე კი იობის მოთმინებასთან ერთად მუდამ შობს სულის სიმტკიცესა და გამძლეობას.

ქართველი გეოლოგები წლეულს ახალი მიღწევებით ხვდებიან თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს. მათი თავდადებული შრომის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა რესპუბლიკის მინერალური ნედლეულის ბაზა. საგრძნობლად გაიზარდა ბიათურის მანგანუმის უნიკალური საბადოები, აღმოჩენილია მანგანუმის მადნების ახალი პერსპექტიული მარაგი, გეოლოგების დაუღალავ შრომის შედეგად გაძლიერდა აგრეთვე ფერადი მეტალურგიის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზა — მადნეულის სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს სახით. ბარიტის მარაგით უზრუნველყოფილია ჩორდის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი. ქართველმა გეოლოგებმა შარმან აღმოაჩინეს და ხალხის სამსახურში ჩააყენეს 16 არამადნეულის საბადო, აქედან 14 საშენი მასალებია, ერთი ბენტონიტური თიხა, მეორე კი ტორფია.

გეოლოგების კვლევა-ძიების შედეგად დიდად გაიზარდა მინერალური და თერმული წყლების მარაგიც. ჩვენ ვეწვიეთ საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს თერმული წყლების ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობს ნოდარ ხუხია, მთავარი გეოლოგია თენგიზ ლაზარაშვილი, ხოლო მთავარი ინჟინერი გურამ გაბუნია.

ეს ექსპედიცია დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს გეოთერმული წყლების და სხვა არატრადიციული სითბოს წყაროების ძიებისა და გამოვლენისათვის. ამ მიმართულებით ექსპედიციის კოლექტივი საყურადღებო სამუშაოებს ასრულებს დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მიმდინარე და მეთორმეტე ხუთწლედებში გათვალისწინებულია სათბურების მშენებლობა თერმული წყლების ბაზაზე. ამჟამად ხობის რაიონში, სოფლების ბიის, საჯიჯაოს და ნოჯიხევის მიდამოებში გამოვლენილია მიწისქვეშა თერმული წყლების მნიშვნელოვანი მარაგი, რომელთა შესწავლა მიმდინარეობს და მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ისინი სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგება. სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებთან შეთანხმებით, ხობის რაიონის თერმული წყლების ბაზაზე ხორციელდება საცდელ-ექსპერიმენტული სათბურის დაპროექტება და მშენებლობა. ამით შესაძლებელი გახდება თერმული წყლების მაქსიმალური გამოყენება და სითბოს დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირება. ამ სამუშაოებს ამჟამად აპროექტებს ქ. ორიოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამჟამად გეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობს ღრმა ბურღვითს სამუშაოებს ხობისა და ცხაკაიას რაიონებში თერმული წლების მარაგის ზრდისა და მრეწველობაში მათი გამოყენებისათვის.

ცნობილია, რომ ამჟამად მშენებარე კინდღის სასათბურე მეურნეობა ერთ-ერთი უდიდესი იქნება ჩვენს ქვეყანაში, იგი იაფი გეოთერმული ენერგიით იმუშავებს.

ამჟამად სოფელ მოქვის (ოჩამჩირის რაიონი) მიდამოებში მიმდინარეობს ღრმა საძიებო სამუშაოები, რომლებსაც 1984 წელს დაამთავრებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშენებარე სასათბურე კომპლექსი მოლიანად იქნება უზრუნველყოფილი გეოთერმული ენერგიით.

რესპუბლიკის ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით გეოლოგიის სამმართველოს და მის თერმული წყლების ექსპედიციას დაეკალა თბილისში ცნობილი გოგირდოვანი წყლების დებიტის მნიშვნელოვანი შემცირებისა და დაკარგვის მიზეზების შესწავლა სამკურნალო და სანატორიულ-ჰიგიენური დაწესებულებების მიწისქვეშა თერმულ-მინერალური წყლებით უზრუნველყოფისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ამოცანა გახლავთ, რადგან ქალაქის ინტენსიური განაშენიანება, გეოლოგიური საძიებო ფარობების ნაკლებობა არ იძლევა სამუშაოთა ფრონტის გაშლის საშუალებას.

მიუხედავად ამისა, ექსპედიციამ დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში შეძლო სამი არაღრმა და ერთი 3500-მეტრიანი ჰაბურღილის გაყვანა. რთული ჰიდროგეოლოგიური პირობები და სხვა ფაქტორები წლების მანძილზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თბილისის გოგირდოვანი წყლების ბუნებრივ რეჟიმზე. ამჟამად საჭიროა უფრო ინტენსიური საძიებო სამუშაოების შესრულება თბილისსა და მის შემოგარენში.

ქართველ გეოლოგებს უფრო ფართო პერსპექტივები ესახებათ მნიშვნელოვანი სიღრმეებიდან თერმულ-მინერალური წყლების გამოვლენისათვის. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორია ჰიდროგეოლოგიურად არ არის კარგად შესწავლილი. გეოლოგების ერთ-ერთ მიღწევად მაინც თბილისის გოგირდოვანი წყლის გამოვლენა უნდა ჩაითვალოს.

თუმცა ხელისშემშლელი პირობები აქვთ, მაგრამ აქ მომუშავე მბურღავთა ბრიგადები სახელმწიფო გეგმებს მაინც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. თბილისის მიდამოებში გაყვანილია, მაგალითად, 3500-მეტრიანი უნიკალური ჰაბურღილი ტექნიკური წყლის გამოყენებით, რის შედეგადაც იზოგება ელექტროენერგია და სხვა მასალები.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის თბილისის გოგირდოვანი წყლის საბადოს და მისი მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლა მთლიანად დამთავრდება.

დღეს ექსპედიციის საქმიანობა არ ამოიწურა ზემოთ აღნიშნული ობიექტებით, მიმდინარე ხუთწლედში შესრულდება სამუშაოები იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია თერმული წყლების ახალი საბადოების გამოვლენა. ასეთი სამუშაოები მიმდინარეობს ქარაფლის ვაკეზე, ალაზნის არტეზიულ აუზში, აგრეთვე სამხრეთ საქართველოსა და ახალციხის რაიონებში. პირველივე ცდებით საბურღვა სამუშაოებმა ექსპედიციის წევრებს დაანახვა ქართლის რაიონების პერსპექტიულობა, აქ, ხაშურის რაიონის სოფელ მიწოსა, აღმოჩნდა თერმული წყალი, რომლის ტემპერატურა 46 გრადუსია, ხოლო სოფელ ბრილში ნახეს ნახშირმჟავა მარილოვანი ზვარეს ტიპის მინერალური წყალი.

თერმული წყლების ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციაში ასობით კაცი მონაწილეობს. ეს კოლექტივი წლების განმავლობაში მაღალ შრომითს მაჩვენებლებს აღწევს, შარშან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ექსპედიცია სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით დაჯილდოვდა.

კარგად დაამთავრა კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალიც. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ მცხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიისა და სტრუქტურული ძებნითი პარტიის კოლექტივები, რომლებსაც ო. თურმანიძე და რ. გიორგობიანი ხელმძღვანელობენ. თავდადებული შრომით გამოირჩევიან აგრეთვე ნ. ჩუბინიძის, შ. გოგიბერიძის, ლ. მოდრეკილაძის, გ. ბოჭორიშვილის ბრიგადები. როგორც ყოველთვის ტოლს არავის უდებენ საბურღი სამუშაოების კოლექტივები, რომლებსაც უნარიანად უძღვებიან ბ. დანგაძე, ტ. დუშუაშვილი, ს. ხაჩიძე და სხვები.

გეოლოგისათვის სამუშაოდ ხელსაყრელი ამინდები დადგა. მოლოდინის გამართლებით გამოწვეული სიხარული ნუ მოგკლებოდეთ.

ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ კორ.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მცხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის მბურღავთა ერთ-ერთი ბრიგადა. მარცხნიდან — ბურღვის ოსტატი ნ. კვეტლიშვილი, მბურღავები: გ. შავერდაშვილი, კ. მარტიროსიანი და ს. მახარაძე.

Თ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

სასოფლო მშენებლობანი-ინდუსტრიულ საფუძველზე

სამშენებლო წარმოების ინტენსიფიკაცია და შრომის ნაყოფიერების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე — ეს საკითხი განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მინდვრებსა და პლანტაციებში, რათა მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელს საუკეთესო აგროვადებში ჩავატაროთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოვლა, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ და დავაბინაოთ მოსავალი, სიუხვის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური რესურსები, მეცნიერების მიღწევები, კვლავაც დაუცხრომლად ვეძიოთ საქმისათვის სასარგებლო მატერიალური და მორალური წახალისების საუკეთესო ფორმები, წელსვე მიგაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას და შემობრუნებას სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში, რათა რაიონმა დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები, წარსული ღირსება და დიდება, კვლავაც ჩადგეს მოწინავეთა რიგებში, — ასეთია პლენუმის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

* * *

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ჟ. ა. ყარაულაშვილი.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გ ბ. ჭარაქაშვილი.

(საქინფორმი).

ᲞᲔᲠᲘᲚᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲐ!.. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲡ

თითოეულ ბარათს, დეპეშას ადამიანებისათვის სიხარული, ზოგჯერ კი წყენა მოაქვს. ამიტომაც არის, რომ ფოსტალიონის დანახვა რაღაც თავისებურად განსაკუთრებული მოლოდინის ემოციას აღძრავს ჩვენში.

კავშირგაბმულობის, ტელეგრაფის მუშაკებს უშუალოდ ადამიანებთან აქვთ საქმე და ამიტომაც მათი კარგი ან ცუდი მუშაობა თვალნათლივია, გამოჩენილი აქ ყოველგვარი უზუსტობა შეუწყნარებელია.

რედაქციამ ამ ბოლო დროს მიიღო რამდენიმე საჩივარი, რომლებიც კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლო, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. აი, რას გვწერს ოლეგ წითლიძე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათიდან: „პატივცემულო რედაქციავ, დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ იძულებული გავხდი თქვენთვის მომმართა. უნდა გითხრათ, რომ ხელვაჩაურის რაიონის საფოსტო განყოფილებისა და კავშირგაბმულობის მუშაკები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ვერ მუშაობენ, ხშირად ჟურნალ-გაზეთებს დაგვიანებით ვღებულობთ, ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, არ შეგაწუხებდით, მაგრამ ამან მასობრივი ხასიათი მიიღო და მოთმინება დაგვეკარგა.

სასწრაფო დეპეშებსაც კი დიდი დრო სჭირდება, ჩვენამდე რომ მოაწიოს, მაგალითად, ოჯახში 1982 წლის 5 ნოემბერს მოსკოვიდან 8 საათსა და 16 წუთზე გამოვაგზავნე სასწრაფო დეპეშა, რომელიც ხელვაჩაურის საფოსტო განყოფილებამ იმავე დღეს 10 საათსა და 10 წუთზე მიიღო, ხოლო ხელვაჩაურის რაიონიდან სოფელ კირნათამდე (მათ შორის მანძილი 20 კილომეტრამდეა) დეპეშის მოტანას ოთხი დღე დასჭირდა, მოსკოვიდან კირნათში მატარებლით ჩამოვედი და მეორე დღეს ჩემ მიერ გამოგზავნილი დეპეშა მე თვითონ ჩამბარეს(!)

ძვირფასო რედაქციავ, ამ წერილის სისწორეში რომ ეჭვი არ შეგეპაროთ, დამდასტურებელ საბუთსაც გიგზავნით. გთხოვთ განგვიმარტოთ, რატომ ხდება ასე?“

მართლაც, რატომ მოხდა ეს? ამ კითხვაზე, ალბათ, ხელვაჩაურის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკები გვიპასუხებენ, რადგან მათ უკეთ ეცოდინებათ, რაიონიდან სოფლამდე დეპეშის გაგზავნას რატომ დასჭირდა ოთხი დღე და არა, ეთქვათ, ერთი კვირა.

„სასწრაფოა თუ საგვიანო?“ — ასე ჰქვია მოქალაქე შურა შენგელია-ვაჩაძის წერილს, რომელსაც იგი ამბროლაურის რაიონის სოფელ ქედისუბნიდან გვიგზავნის: „1981 წელს დამეღუპა ვაჟი, 1982 წლის 24 დეკემბერს მივიღე დეპეშა სოხუმიდან, ჩემი გარდაცვლილი ვაჟის მეგობრის დაღუპვის შესახებ. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. 24 დეკემბერს ფოსტის გამგემ რ. ბოჭორიშვილმა ჩემი თანდასწრებით გადასცა სასწრაფო დეპეშა (რაშიც გადავიხადე 2 მანეთი და 20 კაპიკი. არ იფიქროთ, ფული მენანებოდეს), რომელშიც ძმას ვთხოვდი დაღუპულის სურათის გადიდებას. სოხუმში ჩავედი 26-ში. დეკემბრის 27-ში ოთხ საათზე მე თვითონ მივიღე ჩემი სასწრაფო დეპეშა. ფოსტის მუშაკების ასეთი გულგრილობა ნუთუ შეიძლება? განა ფოსტაში იმიტომ არიან, ხელფასი იიღონ და საქმე კი ზერელედ აკეთონ? წერილის დაგვიანების კი... ნუღარ იტყვით, სოხუმიდან რაჭაში ბარათის მიღებას 13 დღე უნდება. ჩვენ არც ინდექსმა გვიშველა და არც საერთო წესრიგმა, რომელიც ასე მკვიდრდება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში“.

ეს წერილი კი თბილისელებმა — ძმებმა ნ. დგებუაძემ (ინჟინერი), ბ. დგებუაძემ (ექიმი), ა. დგებუაძემ (რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი) მოგვწერს: „ახლა როცა ასეთი უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლა მიმდინარეობს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მაღალი ორგანიზებულობისათვის, იმედია, კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს სისტემის ცალკეულ სამსახურებსა და მუშაკებს, რომელთა დაუდევრობას ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის. ამა წლის 2 იანვარს გარდაგვეცალა დედა, დილით 3 იანვარს თბილისის კავშირგაბმულობის მერვე განყოფილების მეშვეობით დეპეშები გავუგზავნეთ ახლო ნათესავებსა და მეგობრებს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, ვიუფუებოდით დაკრძალვის თარიღს — რვა იანვარს. მწუხარების ჟამს ჭირისუფლის ნუგეში ახლობელი ადამიანები არიან, მაგრამ ჩვენს გაოცებას და აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაკრძალვაზე თბილისში არ ჩამოვიდნენ ჩვენი უახლოესი ნათესავები ჩხოროწყუა რაიონის სოფელ ლესიჭინიდან და არც დეპეშები ყოფილა მათგან. ეს იმიტომ მოხდა, ადრესატებს დეპეშები დრულად არ ჩაბარეს (აქ ფოსტაც არის და ტელეგრაფიც).“

ყოველივე ეს შეუწყნარებელი ფაქტია განსაკუთრებით ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოქალაქეთა აბუჩად აგდება არავის ეპატიება.

ქედის რაიონიდან მოქალაქე ნადიმ ბერიძემ მეორედ გამოგვიგზავნა საჩივარი, რომელშიც აღნიშნულია: „გარდამეცვალა ბებია, ამასთან დაკავშირებით გავგზავნე ორი დეპეშა ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში და მახარაძის რაიონის სოფელ ზემო ნატანებში — ერთი გარდაცვლილის შვილიშვილია, მეორე ძმისწული, ქედდან ნატანებში დეპეშის მისვლას სამი დღე დასჭირდა და ადრესატი მამიდას დაკრძალვას ვერ დაესწრო, თუკი მე სამხედრო სამსახურში ლენინგრადში 24 საათის განმავლობაში მივიღე დეპეშა, აქ ჩვენთან 45-100 კილომეტრ მანძილზე სასწრაფო დეპეშამ სამ დღეს რატომ უნდა დაიგვიანოს? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საქმეს ასე უდიერად მოეკიდნენ? ნუთუ არ იციან მათ სასწრაფო დეპეშის დანიშნულება, ან როგორ ბედავენ ყოველივე ამას? დამნაშავენი უნდა დაისაჯონ“.

როცა შესაბამისი ორგანოები იმსჯელებენ ჩვენს მიმოხილვაში მოყვანილ ფაქტებზე, იმედია, ის პირნი, ვისაც ბრალი ედებათ გულგრილობაში, მცირედ უხერხულობას მაინც იგრძნობენ და საკუთარ თავს დაარწმუნებენ იმაში, რომ გულგრილობა საქმისადმი, ადამიანებისადმი საკუთარი ღირსების დაკარგვას ნიშნავს.

**ლ. ᲒᲣ

2 აპრილი

კომუნისტი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის

უახლოეს ათწლეულებში დედამიწის მთის ზონები გახდება მსოფლიოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ამოცანათა გადაწყვეტის არსებითი რეზერვი. საქმე ის არის, რომ კაცობრიობას ჯერ საფუძვლიანად არ აუთვისებია მთები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საჭიროებებისათვის. ამიტომ მეცნიერთა და სპეციალისტთა ამოცანაა ყოველი ღონე იხმარონ, რათა თავიდან აიცილონ წინა თაობების შეცდომები; რომლებიც ტყეს კაფავდნენ და მიწას ხნავდნენ იქ, სადაც ეს არ შეიძლებოდა. სპეციალისტებმა აგრეთვე უნდა გამონახონ ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის დარღვეული ჰარმონიის ეფექტიანი აღდგენის ხერხები იქ, სადაც ადამიანი უკვე შეეჯარა მთის ზონებში, დაიწყო ჭაობებისა და ტყეებისათვის წარმოებული ახალი ტერიტორიების ათვისება სახნავ-სათესლისათვის. კაცობრიობისათვის საწუხარი ეს პრობლემები განიხილეს იუნესკოს „ადამიანისა და ბიოსფეროს“ საერთაშორისო პროგრამის საბჭოთა და რესპუბლიკური კომიტეტების გაერთიანებულ პლენუმზე, რომელმაც მუშაობა დაამთავრა თბილისში.

მეცნიერებმა და სპეციალისტებმა — დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, ბიოლოგიის, მრავალი მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინის დარგში ქვეყნის უდიდესი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებმა, აგრეთვე სოციოლოგებმა და ეკონომისტებმა საქართველოს დედაქალაქში განიხილეს მთის, კერძოდ, კავკასიისა და შუა აზიის ეკოლოგიური სისტემების რეგიონალური დაცვისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის მათი გამოყენების აქტუალური საკითხები.

— იუნესკოს „ადამიანისა და ბიოსფეროს“ საერთაშორისო პროგრამით გთვალისწინებულია გამოვიკვლიოთ არა მარტო ბიოსფეროს ბუნებრივი და ადამიანის მიერ შეტანილი ცვლილებების პროცესები, არამედ ამ ცვლილებების ზეგავლენაც თვით ადამიანზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს იუნესკოს „ადამიანისა და ბიოსფეროს“ პროგრამის საბჭოთა კომიტეტის მდივანმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ნიჟნიკმა. ეს მნიშვნელოვანი თემა აისახა აგრეთვე სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში. კერძოდ, დიდი ყურადღება დაეთმო კავკასიისა და შუა აზიის მთების კურორტების, პანსიონატებისა და დასასვენებელი ბაზების განვითარებას მეცნიერი ეკოლოგების თვალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო პრობლემას წარმატებით წყვეტენ საქართველოს მეცნიერები.

პლენუმის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გ. გიგაურისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის თ. ურუშაძის მიერ მომზადებული მოხსენება სუბტროპიკებში სატყეო მეურნეობის გაძლოლის შესახებ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ქაჯაიას ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ არის დაყენებული საქართველოში ეკოლოგიური განათლების საქმე.

მაღალი მთის მდელოებზე ადამიანის საქმიანობის გავლენის პრობლემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ნახუცრიშვილმა, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითზე სსრ კავშირის მთის რაიონების საწარმოო ძალების განვითარების თემა გააშუქა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. კობახიძემ. (საქინფორმი).

2 აპრილს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — განთავისუფლების დღეა

წერილი ბუდაპეშტიდან

ძმა ძმით ძლიერი

ერთბაშად მოვიდა უნგრეთში წლევანდელი გაზაფხული. სულ რამდენიმე დღეში გაზაფხულის მზის თბილმა სხივებმა მწვანე სამოსელში გახვია უნგრეთის დედაქალაქის ბუდის მთები, პარკები და სკვერები. ხალისიანად, ცხოვრების ყველა უბანზე ახალ-ახალი გამარჯვებებით აღნიშნავს უნგრელი ხალხი თავის სახელოვან დღესასწაულს — ფაშისტი დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების 38 წლისთავს. ტრადიციულად 4 აპრილი შრომის, საბჭოთა ხალხთან ურღვევი მეგობრობის დღესასწაულია.

დღევანდელი უნგრეთის ყველა თაობის ადამიანებმა კარგად იციან, რომ სწორედ საბჭოთა ხალხმა მოუტანა ქვეყანას თავისუფლება. რესპუბლიკის მშრომელები აჯამებენ თავიანთი შრომის შედეგებს, რომლის მთავარი მიზანია პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმა, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამის შესრულება.

სოციალისტური უნგრეთის ქალაქებისა და სოფლების გზებსა და მოედნებზე გავლისას თვალში გეცემათ ახალმშენებლობათა შთამბეჭდავი პანორამა. მშრომელები ამაყობენ სახალხო უნგრეთის თანატოლი ისეთი ქალაქებით, როგორიც კომლო, საზხალომბატი, ტატაბანია, ამაყობენ თანამედროვე კვარტალებით, მათ შორის გაჭიმული ფართო პროსპექტებით. ბოლო ხანებში გაშენებული თანამედროვე საცხოვრებელი რაიონები დღევანდელი რესპუბლიკის თავისებური სიმბოლოა. სოციალისტური მშენებლობის წლებში თითქმის ყოველმა მეორე ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა კეთილმოწყობილ ბინებში. მიმდინარე ხუთწლედში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში აშენდება 400 ათასამდე ახალი ბინა.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო საბინაო მშენებლობამ უნგრეთის დედაქალაქში. მარტო მიმდინარე წელს ახალმშენებლობათა რაიონებში ახალი ბინის გასაღები გადაეცემა 16 ათასი ბუდაპეშტელის ოჯახს. მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობაზე.

უნგრეთის მშენებლობისა და ქალაქების განვითარების სამინისტროს საბინაო მშენებლობის სამმართველოში უზარმაზარი რუკა ჰკიდია, რომელზეც აღნიშნულია მიმდინარე ხუთწლედში ყველაზე ინტენსიური ბინათმშენებლობის რაიონები.

— ეს რუკა, — ამბობს სამმართველოს უფროსი ლაიმ კიში, — სისტემატურად ახლდება. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელი ბინების საკითხი 15 წლისათვის გათვალისწინებული პერსპექტიული პროგრამების საფუძველზე წყდება. პირველი მათგანი მოიცავდა 1961-1975 წლების პერიოდს და მიზნად ისახავდა მილიონი ახალი ბინის აგებას. ეს პროგრამა რესპუბლიკის მშენებლებმა ღირსეულად შეასრულეს. მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტო ბიუროები. საბინაო მშენებლობის პირველი პერსპექტიული პროგრამა გადაჭარბებით შესრულდა, ახალ ბინებში შესახლდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი.

ახალ რაიონებს რომ ვქმნით, ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ არქიტექტურის თანამედროვე მიღწევები და მიმართულებანი, გავითვალისწინოთ ადამიანთა მოთხოვნილებანი. მრავალსართულიან სახლებთან ერთად შენდება მაღაზიები, სკოლები და საბავშვო ბაღები.

სამშენებლო მოედნებზე მუშაობა დღითი დღე სულ უფრო ახალი ძალით ჩაღდება. ახლა ხორცს ისხამს ბინათმშენებლობის მეორე 15-წლიანი პროგრამა, რომელიც 1990 წლის ბოლოსთვის 1200 ათასამდე ბინის აგებას ითვალისწინებს. უნგრელი სპეციალისტები დიდ მუშაობას ეწევიან ბინის დაგეგმარების სრულყოფისათვის, ცდილობენ, რომ თანამედროვე ბინა უფრო მყუდრო და კეთილმოწყობილი იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ აგერ უკვე მეხუთე წელია ზედიზედ უნგრეთის არქიტექტორთა კავშირი აწყობს ბინების უკეთ დაგეგმარების კონკურსს. კონკურსზე გამოგზავნილი ბევრი შრომა პრაქტიკაში დაინერგა. ამ პროექტებით აშენებული რაიონები რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელს ამშვენებს. ამით თავს ვაღწევთ მონოტონურობას საბინაო მშენებლობაში.

ბინათმშენებლობის საკითხებს, განაგრძობს ლ. კიში, ჩვენ მომმე სოციალისტური ქვეყნების, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, სპეციალისტებთან, ჩვენს კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობით ვწყვეტთ. ამჟამად ეს თანამშრომლობა მთელ რიგ სფეროებს მოიცავს. იგი ითვალისწინებს საშენი მასალების, ტექნიკური დოკუმენტაციების ურთიერთგაცვლას და ა. შ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ბინათმშენებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სახლთსაშენებელი კომბინატების ქსელის შექმნა, რომლებიც ძირითადად საბჭოთა ტექნიკით არის აღჭურვილი. საბჭოთა კოლეგებისაგან ვსწავლობთ ბინის აგების ახალ მეთოდებს, ადგილზე მონტაჟის ორგანიზაციას, სამუშაოების ინდუსტრიული წარმართვის თანამედროვე ფორმებს. საბჭოთა სამშენებლო ინდუსტრიის მდიდარი გამოცდილება, მუდმივი კონტაქტები საბჭოთა არქიტექტორებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის პროგრამების წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

უნგრეთში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა განთავისუფლების წლისთავის დღესასწაულის წინადღეს ახალი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამჯერადაც კეთილმოწყობილი ბინების გასაღები მიიღო უნგრეთის დედაქალაქის, მსხვილი სამრეწველო ცენტრების — ზალაეგერსეგის, სეკფშფეხერვარას ასობით მცხოვრებმა. ასეთია უნგრელ მშენებელთა საჩუქარი განთავისუფლების დღის გამო. უნგრელ მშენებელთა გრანდიოზული გეგმები, მათი დღითი დღე მზარდი თანამშრომლობა მოძმე სოციალისტური ქვეყნების კოლეგებთან იმის საწინდარია, რომ უნგრეთის ქალაქები კიდევ უფრო გაშლის მხრებს და თანამედროვე ელფერით დამშვენდება.

ა. კუზმინი,
საკლესიო კორ.

სურათზე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ბუდაპეშტი, საბჭოთა გმირი განმათავისუფლებლების მონუმენტთან.

მტი-საკლესიო ფოტო.

● ნიკარაგუა

ბანდები უკუაგდეს

მანაგუა. როგორც პრეზიდენტი ანასტასიო სომოზა ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა უმბერტო ორტეგამ, სომოსელთა დაჯგუფებებმა, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო წარმართავს, კვლავ მოიმოქმედეს ახალი პროვოკაცია — შეიბრძნენ ნიკარაგუის ტერიტორიაზე, ამჯერად, სელაიას დეპარტამენტის ჩრდილოეთ ნაწილში. 29 მარტს, თქვა ორტეგამ, სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლნი კონტრრევოლუციონერებს შეეხენენ დასახლებული პუნქტების კუშისა და ვისმონის რაიონში. გაფთრებული ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგეს სერიოზული ზიანი მიადგა.

მთავარი საფრთხე, აღნიშნა უ. ორტეგამ, ის არის, რომ ჰონდურასის რეაქციული მხედრიონი სულ უფრო აქტიურ მხარდაჭერას უწევს კონტრრევოლუციონერებს. ჰონდურასის ჯარები უკვე არა მარტო ცეცხლს უშენენ ნიკარაგუის სასაზღვრო პოსტებს, არამედ მცირერიცხოვან ჯგუფებსაც კი გზავნიან ნიკარაგუის ტერიტორიაზე, რათა პროვოკაციულად გამოიწვიონ შეიარაღებული ინციდენტები.

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ დესკოტომ ბრალად დასდო შეერთებულ შტატებს რომ იგი გამოუცხადებელ ომს ეწევა ნიკარაგუის წინააღმდეგ. ამერიკის საჯაშუშო უწყება და ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი სამხედრო ოლქის სარდლობა, ხაზი გაუსვა მან მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, უშუალოდ ხელმძღვანელობენ ჰონდურასის მხედრიონისა და სომოსელთა ბანდების შეიარაღებულ მოქმედებას.

კამპუჩიის პროტესტი

პნომპენი. კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გაანცხადა იმის გამო, რომ ჩინეთი იარაღს აწვდის ტაილანდის ტერიტორიაზე მოკალათებულ ჭხმერთა რეაქციულ დაჯგუფებებს.

პოლპოტელთა გენოციდის რეჟიმის დამხობისა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ნათქვამია განცხადებაში, პეკინი ნიადაგ უწევდა და კვლავაც უწევს როგორც მორალურ, ისე მატერიალურ მხარდაჭერას პოლ-პოტის პირისსისლიან ხროვას. გარდა ამისა, ჭხმერი ხალხის მოღალატეებს აქეზებენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის, ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის, რათა შექმნან არასტაბილური ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, არ დაუშვან რეგიონში მომწიფებული დიალოგის ტენდენციის განვითარება.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხაზგასმულია დოკუმენტში, მოითხოვს შეწყვეტს იარაღის მიწოდება ჭხმერთა ემიგრანტული რეაქციისადმი. იმათ, ვინც იარაღით ამარაგებს გენოციდის დანაშაულებრივ ხროვას, და იმათ, ვინც თავის ტერიტორიაზე იფარავს ამ ავაზაკებს, სრული პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ ამ მოქმედების შედეგებისათვის.

საერთაშორისო შენიშვნები

სახიფათო და დაუფიქრებელი კურსით

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს საერთაშორისო წრეები გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ ი. ანდროპოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. ამ ხნის მანძილზე მასობრივი ინფორმაციის ორგანოები, პოლიტიკური მოღვაწეები, მიმომხილველები ფართოდ აანალიზებენ და განმარტავენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ გამოხმაურებები ჯერ კიდევ გრძელდება, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ — აღნიშნული ინტერვიუ უკვე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტად იქცა.

უპირველეს ყოვლისა ეს იმან განაპირობა, რომ დოკუმენტში ღრმად არის გაანალიზებული ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის სახედრო დოქტრინები. სწორედ ამ ანალიზს, რომელიც განმტკიცებულია რეალური, ობიექტური ფაქტებით, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ რეიგანის ადმინისტრაციას აზრადაც არა აქვს პატიოსანი მოლაპარაკება აწარმოოს განიარაღებაზე. პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობს საბჭოთა კავშირის საყოველთაოდ ცნობილი საგარეო პოლიტიკური პრინციპებისა და კურსის უტიფარი გაყალბებით გაამართლოს საკუთარი გამალებული შეიარაღება. რაც მთავარი და ამავე დროს ყველაზე საშიშია, თეორი სახლის პოლიტიკის მიზანია შეიარაღების (განსაკუთრებით კი ბირთვული შეიარაღების) სფეროში არსებული პარიტეტის დარღვევა. ბუნებრივია, რომ თანამედროვე რთულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს არსებული პარიტეტის დარღვევას და ამით სერიოზულ საფრთხეს არ შეუქმნის როგორც თავს, ასევე მთელი სოციალისტური ბანაკის თავდაცვისუნარიანობას. ამიტომ ცალმხრივ უპირატესობაზე ფიქრი და, მით უმეტეს რეალური გეგმების შემუშავება, მხოლოდ უპასუხისმგებლო და სახიფათო ავანტიურაა. სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული ი. ანდროპოვის პასუხში, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია კვლავაც უაღრესად საშიშ გზას ადგას. ომისა და მშვიდობის საკითხებს არ შეიძლება მიუდგე ასე დაუფიქრებლად“.

დღეს რეიგანსა და მის სტრატეგებს კარგად ესმით, რომ სანამ გამალებულ შეიარაღებაში ახალ ნაბიჯს გადადგამდე, ფართო საზოგადოებრიობის სათანადოდ შემზადებაა საჭირო. ამიტომაც არის, რომ წლების მანძილზე, ყოველი ახალი სახეობის იარაღის მასობრივ წარმოებას წინ უსწრებს დეზინფორმაციის კამპანია. აქ უკვე ყველაფერი დასაშვები და მისაღებია — საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შეგნებული დამახინჯებაც და „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ კბილმოცვეთილი მითით ფონგლეიორობაც. ბოლო ხანს ასეთი პროპაგანდისტული ლაშქრობის ტორბადურის როლს არავის უთმობს თვით პრეზიდენტი რეიგანი. ამერიკელები უკვე შეეჩვივნენ თავიანთ ტელეეკრანებზე ბრეოლინით თმაგადაგლესილი და ჰოლივუდის მანერებიანი პრეზიდენტის გამოჩენას, რომელიც ათასგვარი სქემებითა და დიაგრამებით შეიარაღებული (მოდი და ნუ დაუჯერებ!) მომაბეზრებელი დაჟინებით ცდილობს მათ დაშინებას „საბჭოეთის ძლიერებით“ და „ამერიკის სისუსტით“. ასე იყო 23 მარტსაც, როდესაც ამერიკელთა წინაშე კვლავ წარსდგა რეიგანი. პრეზიდენტის ამ გამოსვლას ზუსტი შეფასება მისცა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა — „ეს სიტყვა როგორც ჩანს, იმისათვის იყო ზეფიქრებული, რომ ცდილიყო ზემოქმედება მოეხდინა შეერთებულ შტატებში აზრთგანწყობილებაზე, დაეშოშმინებინა ადმინისტრაციის აგრესიული კურსის გამო იქ მზარდი შეშფოთება“. საკმარისია თვალი გადაავლო ამერიკის სინამდვილეს, რომ დარწმუნდე, რაოდენ ობიექტურია ეს დასკვნა. როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ქვეყნის საშინაო ეკონომიკური მდგომარეობით იყო დაინტერესებული და საერთაშორისო მოვლენებს მათთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. დღევანდელი „საშუალო“ ამერიკელი ისევე განსხვავდება, ვთქვათ, 50-ანი წლების ობივატელისაგან, როგორც „მექსი“ რაკეტა „პაწაწინასაგან“ (როგორც პენტაგონმა ხიროსიმაზე ჩამოგდებულ ატომურ ბომბს უწოდა). რასაკვირველია, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა დღეს გუშინდელზე ნაკლებ როდი აწუხებთ ამერიკელებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა რიგით ამერიკელთა პოლიტიკური თვითშეგნების დონე.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 23 მარტის გამოსვლა ძირითადად ერთ პრობლემას — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნას მიეძღვნა. ერთის შეხედვით ეხება ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენულ პროგრამატივას, მაგრამ როგორც ამხ. ი. ვ. ანდროპოვის პასუხშია აღნიშნული, „მხოლოდ ერთი შეხედვით და მხოლოდ იმათთვის, ვინც არ იცნობს ამ საკითხებს“. სპეციალისტთა და საქმეში ჩახედული ადამიანებისათვის კი აქ გაურკვეველი არაფერია, ეს არის აქციებით ამოიწურებოდა, დღეს უაღრესად ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი მშვიდობის [illegible] ხრეთა მოძრაობა, რომელიც [illegible] ნასკენელ ხანებში საყოველთაო ეროვნული მასშტაბი მიიღო. ამავე დროს განიარაღებისათვის მებრძოლთა რიგებში ვხედავთ საზოგადოებრიობის სრულიად განსხვავებული ფენების წარმომადგენლებს, გადამდგარი ადმირალებით დაწყებული და კულტის მსახურნით დამთავრებული. უკვე ძნელია, უფრო მეტიც, შეუძლებელია ამ ხალხის აზრთგანწყობილებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამიტომაც იყო, სხვა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, რეიგანმა ბირთვული შეიარაღების გაყინვისათვის მოძრაობა „მოსკოვის მიერ ინსპირირებულად“ მონათლა. სიცრუე და ცილისწამება ამჯერად იმდენად უხეშნი და არასერიოზულნი იყო, რომ თვით გამოძიების ფედერალური ბიუროც კი იძულებული გახდა ოფიციალურად(!) უარეყო პრეზიდენტის მტკიცება: „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირი აკონტროლებს ან წარმართავს ამ მოძრაობასო“ — აღნიშნულია ბიუროს განცხადებაში რომელიც ასოციეტედ პრესამ გამოაქვეყნა.

ვერც კანონმდებლებზე იქონია საათანადო გავლენა ადმინისტრაციის რიტორიკამ — სწორედ რეიგანის ზემოხსენებული საჯარო გამოსვლის დღეებში წარმომადგენელთა პალატამ 229 ხმით 196-ის წინააღმდეგ მოიწონა მომავალი საბიუჯეტო წლის ეგრეთწოდებული „ალტერნატიული“ (ადმინისტრაციის პროექტის საწინააღმდეგო) ბიუჯეტის პროექტი, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად სახხედრო ხარჯების ზრდის ტემპების არსებითი შემცირება მიაჩნიათ (4 პროცენტი მთავრობის მიერ დაგეგმილი 10 პროცენტის ნაცვლად).

მთავარი დასკვნა, რომლის გამოტანაც შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სამხედრო გეგმებისა და პროექტების გაცნობის შემდეგ ის არის, რომ რეიგანის ადმინისტრაცია შეგნებულად უწყობს ხელს საერთაშორისო ვითარების შემდგომ გამწვავებას და გამალებულად ემზადება ბირთვული ომისათვის. დროა თეთრ სახლში შეიგნონ თუ რა ელის მას, ვინც ასეთი გულმოდგინებით „თესავს ქარს“. ამავე დროს ვაშინგტონი ყოველი საშუალებით ცდილობს თავისი საომარი გეგმების თანამონაწილედ აქციოს დასავლეთ ევროპის ქვეყნები. სწორედ ასეთი პერსპექტივა სულ უფრო მეტ ევროპელს უბიძგებს ანტისაომარი და ანტიიმპერიალური დემონსტრაციებისაკენ.

რაც შეეხება პრეზიდენტ რეიგანის ახალ, ეგრეთ წოდებული „შუალედურ ვარიანტს“ როგორც ამხ. ა. გრომიკომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, იგი საფრთხეებით მიუღებელია საბჭოთა კავშირისათვის. ისევე როგორც წინათ, ამჯერადაც ვაშინგტონი მოვალედ არ სთვლის თავს ანგარიში გაუწიოს მოლაპარაკებებზე თავისი პარტნიორის რეალურ და არა მითიურ საარსებო ინტერესებს. ასეთი გზით კი შორს წასვლა შეუძლებელია.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

პირველი ბირთვული დარტყმის მოყენების პოტენციალის შეძენის ცდა. სწორედ აღნიშნული მიმართულებით კონფრონტაციისა და გამალებული შეიარაღების ახალი არხის გახსნის თავიდან აცილების მიზნით, ჯერ კიდევ 1972 წელს, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო სპეციალური ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ძალითაც შეიზღუდებოდა აღნიშნულ სისტემათა შექმნა. არც ერთი მხარე არ უნდა ცდილიყო თავი დაეზღვია საპასუხო ბირთვული დარტყმით საფრთხისაგან და ამით პირველი და უპასუხო ბირთვული დარტყმის შესაძლებლობა მიეღო.

რეიგანის ადმინისტრაციის ახალი „თავდაცვითი კონცეფცია“ კი პრაქტიკულად უარყოფს 1972 წლის ხელშეკრულებას და იმ მოსაზრებებსაც, რომლებმაც ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაანაპირობეს. პრეზიდენტს „ავიწყდება“, რომ მეორე მხარის უსაფრთხოების ლიკვიდაციისაკენ სწრაფვით შეუძლებელია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს გზა მხოლოდ აშწავებს საერთაშორისო დაძაბულობას და ზრდის გამალებული შეიარაღების ტემპს. საინტერესოა, რომ სწორედ ასე შეაფასა რეიგანის გამოსვლა ინგლისურმა „ტაიმსმ“.

თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია, ერთი მხრივ, გამალებული შეიარაღების უაღრესად ყოვლისმომცველი და საშიში ფორმები, მეორე მხრივ, ანტიმილიტარისტული, სამშვიდობო მოძრაობის უპრეცედენტო გაქანება და მასშტაბები. შორს წაგვიყვანდა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ანტიმილიტარისტული ორგანიზაციების უბრალო ჩამოთვლაც კი. თუ სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკელთა ანტიმილიტარიზმი ძირითადად მხოლოდ ვიეტნამში წარმოებული არაპოპულარული ომის საწინააღმდეგო

ქართველი მუშის მცირე მატიანე

ისტორია საუკუნისა

13

მშვიდობიანად მიედინება საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება. მოდის ახალი, ბედნიერი თაობა, რომლისთვისაც გზა ხსნილია სწავლისა თუ შრომისთვის.

1940 წლის 27 მაისს მ. კალინინი ესტუმრა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას. მუშათა კრებაზე თქვა: „მე ვფიქრობ, რომ რუსეთში არ ყოფილა ისეთი დიდი საპყრობილე, სადაც არ მსხდარიყვნენ თბილისელ რკინიგზელთა საუკეთესო წარმომადგენელები. მერე რამდენი ადამიანი დაიღუპა მეფის თვითმპყრობელობასთან უშუალო შეტაკებაში, რამდენი გაიგზავნა კატორღასა და გადასახლებაში. ასე იქმნებოდა თბილისის რკინიგზელთა რევოლუციური ტრადიციები“.

ამ ქარხნის ყოფილი მუშა მიხეილ კალინინი უკვე ისტორიის კუთვნილებად თვლიდა რევოლუციის ხანას. ბედნიერ თავისუფალ თაობას ახსენებდა წინაპრების მძიმე გზას და მაშინ, მაისის იმ შუვნიერ დღეს, ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, თუ საბჭოეთის კრიალა, მშვიდ ცაზე ანაზდეულად მომდევნო წელს გამოჩნდებოდა მრუმე და ვაგლახი ღრუბელი.

დედასამშობლო გვიხმობს...

სევდის სუდარა გადაეფარა თბილის-ქალაქს. ცხოვრებამ თითქოს ერთბაშად იცვალა ფერი.

საღამოობით ქუჩებში აღარ ჩანდნენ მოჟრიამული ახალგაზრდები.

ვაგზლიდან მატარებელს ყოველდღე მიჰყავდა ფრონტზე ახალგაზრდობა. ქუჩებში თანდათან მოხშირდნენ დათალხულები. ოციოდე წელი ძალზე ცოტა დრო იყო იმისათვის, რომ ახალგაზრდა საბჭოეთს მემკვიდრეობით ჩაბარებული ღატაკი ქვეყანაც აეშენებინა და თავდაცვისათვისაც მომზადებულიყო.

სისხლის, კატორღების, ციხეების ფასად მოპოვებული თავისუფლება ხიფათში აღმოჩნდა.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სადაც მეტწილად ყოფილი რევოლუციონერები, პირველი პიონერები და პირველი კომკავშირელები მუშაობდნენ, დიდი ამოცანისა და გამოცდის წინაშე იდგა. დღეიდან მას ფრონტი თოფ-იარაღით უნდა მოემარაგებინა. რევოლუციის მონაპოვარს ვინ დაიცავდა ისე თავგანწირვით, როგორც იმ ქარხნის მუშები, რომლებსაც დიდი რევოლუციური ტრადიციები ჰქონდათ.

მიუხედავად ასაკისა და სქესისა, აქაური მუშები, მოსამსახურეები სამხედრო კომისარიატში ცხადდებოდნენ და ფრონტზე მოხალისედ ითხოვდნენ წასვლას. პასუხი ერთი იყო:

— თქვენ აქ გვჭირდებით!

მართლაც ასე იყო. ქარხანაში ნამდვილი ფრონტი შეიქმნა. ქარხნის ხელმძღვანელები თუ მუშები ღამესაც იქ ათევდნენ, წელში გადაწყვეტამდე მუშაობდნენ. ბევრი, ძალზე ბევრი იარაღი და საბრძოლო მასალა სჭირდებოდა დედასამშობლოს, ფრონტს. გუთნის მჭედელი იძულებული იყო ხმალი ეჭედა.

მოკლე ხანში იმიერკარპატებიდან, როსტოვიდან, ტიხორეცკაიადან და ორჯონიკიძიდან გამოხიზნული ქარხნები თავის მუშებიანად თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას შეუერთდნენ. დღევანდელი კინოთეატრის „განთიადის“ შენობა სახელდახელოდ დაცალეს და ლტოლვილები იქ შეასახლეს.

ქარხნის მუშათა რიცხვი 6.000-მდე გაიზარდა. მხარდამხარ იდგნენ მრავალეროვანი მუშები და ერთი საერთო მიზნისათვის, ერთი საერთო სამშობლოს სამსახურში ათევ-აღამებდნენ. არ არსებობდა არავითარი ზღვარი გეგმისა, რაც შეიძლებოდა მეტი უნდა ემუშავა, მეტი იარაღი დაემზადებინა.

ერთი წუთით ჩავიხედოთ ქარხნის პარტიული ორგანიზაციის პასპორტში. აი რა წერია იქ:

„1941 წლის აგვისტოდან ქარხანამ დაიწყო რეაქტიულ ნაღმ „კატუშასათვის“ საჭირო ნაწილების გამოშვება, შემდეგ კი ავტომატების „პპშ“-სა და „პპს“-სი. ამზადებდა აგრეთვე ნაღმსატყორცნებსა და მსხვრევად ნაღმებს. ომის წლებში გმირული შრომისთვის დაჯილდოდა 2176 მუშა მედლებით „შრომითი მამაცობისათვის დიდი სამამულო ომის წლებში 1941-1945“, 334 მუშა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

საკმაოდ დიდი რიცხვია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იმ ერთგულებაზე ღაღადებს, რომელიც ქარხნის მუშებმა გამოიჩინეს სოციალისტური სამშობლოსადმი იმ გასაჭირის ჟამს — დიდ სამამულო ომში.

გიორგი მარიამული იგონებს:

„— ფეხები დაგვისივდა. პირველად ვერ მივხვდით რაში იყო საქმე, ვფიქრობდით, რამემ ხომ არ მოგვწამლაო. მერეღა გავიგეთ, რომ ეს ყველაფერი დღედაღამ ფეხზე დგომამ დაგვმართა. იძულებული გავხდით საამქროებში საწოლები შეგვეტანა და ხანდახან რიგრიგობით დაგვესვენა.

ყველა მუშას შეგნებული ჰქონდა სამშობლოს როგორ უჭირდა. ამიტომ გადაწყვიტეთ ჩვენი დანაზოგი ფულითა და მასალებით ორი ჯავშნასანი მატარებელი დაგვემზადებინა. მალე ფრონტს საჩუქრად გავუგზავნეთ ჯავშნოსანები „სერგეი კიროვი“ და „სოვეტსკაია გრუზია“.

თბილისში კიდევ ერთი ქარხანა გადავიდა სამხედრო წარმოებაზე. აქაც და იმ ქარხანაშიც შრომის ჯგუფის უფროსად დამნიშნეს, მანქანა მომამაგრეს და ხან ერთ ქარხანაში ვიყავ, ხან მეორეში. ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა, ოჯახში ვერ შევიდოდი“.

* * *

ეს მართლაც მცირე მატიანე ქართველი მუშა კაცისა, სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ის ჭეშმარიტად საგმირო საქმეებს, რაც უბრალო ადამიანებს უკეთებიათ სამშობლოს წინაშე. მარტო ომის წლებში მათ თავზე გადახდენილი გაჭირვება, ნებისყოფა და ერთგულება, ასე გაკვრით რომ გიამბეთ, მთელი ე

„კომუნისტი“ საკვირაო საკითხავი
ეროვნული ინტერესები
ყაბალი

აკადემიკოსი აკაკი შანიძე სტუმრად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში

დღე—სახსოვარი



სად უნდა დადგას ფეხი, სად უნდა მიბრძანდეს იგი, რომ სიყვარულითა და აღტაცებით არ შეეგებოს დიდი და მცირე, უფროსი და უმცროსი; სიყვარულით, აღტაცებით და კიდევ: უთუოდ, უდიდესი მოკრძალების, მოწიწების გრძნობით, როგორც უმრწემესნი ხვდებიან თავიანთ ყველაზე ამაგდარ მოძღვარს, მასწავლებელს...

აკაკი შანიძემ ეს დღე „კომუნისტის“ რედაქციაში სტუმრობისთვის ირჩია... ასეთ დაუვიწყარ შეხვედრაზე, თუნდაც გუშინდელი, უფრო ადრინდელიც იყოს, არ გსურს წარსულ დროში ლაპარაკი.

დიდი ხანიც რომ გავიდეს, რა დაგვავიწყებს: ზის იგი, თითოეული ჩვენგანისათვის სიყრმითვე ნაცნობი და მახლობელი, ჩვენს შორის და გატაცებით გვესაუბრება საერთო, საქვეყნო საქმეებზე, თავად პირველი მაშვრალი და ღვაწლმოსილი. ცხოვრების თვით მეათე ათწლეულის წელთა სიმძიმესაც ბევრი ვერაფერი დაუკლია მისთვის; ისევ ისე მარად მოფუსფუსე, მოუსვენარი აზრი უშუქებს ცისფერ თვალებს, ხშირ-ხშირად კეთილი ღიმილი დასთამაშებს სახეზე და მისი გონება საოცარი სიცხადით აღადგენს არა მარტო წარსულის დიდ გზას — უკვე განვლილსა და გაკეთებულს, ასევე განჭვრეტს მომავლის აზრსა და მიზნებს.

ბრძანა: მე რაც გონებაში ჩავვარდი და ქვეყნის საჭიროებას დავუკვირდი, მუდამ ვშრომობდი, ვცდილობდი, ქვეყნისთვის რაიმე მერგოო...

და იმ დიდებული ხანიდან მოკიდებული კვლავაც დგას იგი მხნედ, როგორც ბერმუხა, მშობელი ერისა და მამულის დიდ სამსახურში — ქართული საეროსამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ქართული ენათმეცნიერების ბელადი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაძირკვლეთაგანი... მისი ნაამაგარის ჩამოთვლაც კი ჭირს. რა აუწონელი საგანძური შემატა მან თუნდაც მხოლოდ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხთა გამოკვლევის საქმეს, ქართულ დიალექტოლოგიას, ლექსიკოლოგიას, ეტიმოლოგიას, ეპიგრაფიკას, ფოლკლორს, რა ღვაწლი დასდო უძვირფასეს ტექსტთა გამოცემას!..

ახლაც როდია დამშვიდებითა და მოსვენებით; ისევ ისე იღვწის, ისევ ისე დასტრიალებს თავს ფასდაუდებელ ნაშრომებს, წიგნებს, ფოლიანტებს...

ისევ ახალგაზრდული წლების თანამდევი გულის სიწრფელით ხრის თავს თავისი დიდი მასწავლებლების ხსოვნის წინაშე და პირველყოვლისა იმათ უმადლის, რასაც მიაღწია.

გვიამბეს, როცა თბილისქალაქობაზე ჩვენი დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, შინ მისვლამდე უსაყვარლესი მოძღვრის ივანე ჯავახიშვილის ქანდაკებასთან მივიდა და მოწიწებით შეამკო იგი ახლახან მღელვარებით მიღებული ჯილდოთი — ეს პატივი ყველაზე უწინარეს შენ გეკუთვნისო...

ისევ ძველებური ყურადღებით მზრუნველობს მრავალრიცხოვან ნამოწაფართ, ახალ თაობას. ამიტომაც განსაკუთრებით გაუხარდა, როცა რედაქციაში სტუმრობისას ბევრი კეთილი სურვილის შემდეგ მოწაფეები და შეგირდები უდღეგრძელეს.

გარდასულ წელთა დიდი ნათელი და იმედიანი მომავალი აშუქებს მის დღევანდელობას. დღევანდელში კი მას, რაგინდ მოუცლელიც იყოს, შეუმჩნეველი და შეუფასებელი არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა. აქ კი ერთერთ კეთილმესიტყვედ, პირუთვნელ მოამბედ ჩვენი ქართული პრესა ეგულვის. ამიტომაც დიდად გაგვიხარდა, როცა კარგი სიტყვით მოიხსენია ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, კერძოდ, გაზეთ „კომუნისტის“ პუბლიკაციები, გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები, შენიშვნები...

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სახელით სახელოვან სწავლულსა და მასწავლებელს გულითადად მიეესალმნენ ჟურნალისტები, მისი ყოფილი სტუდენტები, სიმხნევე და ჯანმრთელობა უსურვეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მერე ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოსურათი და ძვირფას სტუმარს გადასცეს მისი პორტრეტი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ შეასრულა.

ეს ფოტოებიც, რომელსაც დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს, აკადემიკოს აკაკი შანიძესთან შეხვედრის სამახსოვროა: სტუმარი ესაუბრება ჟურნალისტებს; უ. ჯაფარიძის მიერ შესრულებული აკაკი შანიძის პორტრეტი.

თ. მეტრეველი,
„კომუნისტის“ კორ.



პროგლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

მზის ელექტროგენერატორი

ინგლისი. ეს ექსპერიმენტი 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე გრძელდება ტრისტან-და-კუნიას კუნძულებზე. კუნძულების მთელი მოსახლეობა, სულ 200-ოდე კაცი, ასე დიდი ხნის განმავლობაში გარე სამყაროსაგან იზოლირებული ცხოვრობდა. კუნძულელთა საზრდო იყო მხოლოდ ზღვის ნადავლი და ტყეში მოპოვებული სურსათი. პურის, შაქრის, ჩაისა და ყავის გემოც კი არ იცოდნენ.

1932 წელს კუნძულებზე პირველად მოხვდა კბილის ექიმი. მან დაადგინა, რომ კარიესით მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი იყო დაავადებული. დანარჩენებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ კბილის ტკივილზე.

ხუთი წლის შემდეგ, როცა კუნძულებზე პური და შაქარი შემოვიდა, კარიესით დაავადებულთა რიცხვმა 4,2 პროცენტს მიაღწია.

15 წლის შემდეგ კარიესით დაავადებულთა წილი 9,1 პროცენტს შეადგენდა, 22,2 პროცენტს სრულიად ჯანმრთელი კბილები ჰქონდა. ამჟერად ყოველ მოსახლე ნახევარ კილო შაქარს და 800 გრამ ფქვილს ჭამდა კვირაში.

1952 წელს კარიესი 12,55 პროცენტს აღმოაჩნდა, 12,35 პროცენტი ჯანმრთელი იყო.

1961 წელს ვულკანს ამოფრქვევის გამო კუნძულებიდან მოსახლეობა გახიზნეს, და ექსპერიმენტი შეწყდა.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ მესამე ნომერი. იგი იხსნება მოწინავე წერილით „ლიტერატურულ - მხატვრული კრიტიკის შემდგომი ამაღლებისათვის“. შემდეგ ჟურნალში დაბეჭდილია ნ. მგალობლიშვილის, თ. შილაკაძისა და თ. მახარაშვილის წერილი „მეგობრობის გზაზე“, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის ეძღვნება.

რუბრიკით „დისკუსია, მუსიკა და მსმენელი“ ბათუმის მუსიკალურ სანმდვილეზე მკითხველებს ესაუბრება ი. ბარდანაშვილი. „მუზა ჯამაგირზე“ — ასე ჰქვია ვ. დავითაიას წერილს. მ. პიატნიცკი წერილში „პლასტიკური რეჟისურის სათავეებთან“ მკითხველებს ესაუბრება კ. მარჯანიშვილის შესახებ. ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებას აცნობს მკითხველებს ნ. მირცხულავა წერილში „პორტრეტული ხელოვნების ფაქიზი ოსტატი“.

ჟურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე წერილები: ი. ხელაძის „ფუნქციონიზმის ესთეტიკა“, ზ. სხირტლაძის „ორი მეტყველი პორტრეტი“, ლ. დონაძის „მალვა მშველიძის სიმფონიური შემოქმედება“, ა. გეგეჭკორის „წლის დროთა პოეზია“, თ. აბაშიძის „მუსიკა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, ი. მერაბიშვილის, ი. ძუცოვას და სხვათა საინტერესო წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

ცნობილმა კრიტიკოსმა და მოაზროვნემ კოტა აბაშიძემ ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა მწერალი ქალი აკაკი წერეთელს წარუდგინა და დასძინა: ბელეტრისტი მარიამ გარიყული. აკაკიმ ხელი ჩამოართვა, გაუღიმა და უთხრა: „რამ გაგრიყა, ქალო! ასე ახალგაზრდა და გარიყული? მე ხნიერი მეგონე“...

ასე შეხვდა პირისპირ აკაკის მაშინ ჯერ სულ რამდენიმე მოთხრობის ავტორი მარიამ გარიყული. ასე აუხდა ბავშვობიდან გამოყოლილი ოცნება სულმნათი პოეტის ხილვისა. მას ისეთი ბედნიერებაც ზვდა წილად, რაზეც ვერც კი ოცნებებდა — აკაკის მისი მოთხრობები წაეკითხა და მოსწონებოდა: „ჰოო, შენი მოთხრობა წავიკითხე ამას წინათ, მასიამოვნე, ქალო, მასიამოვნე. სწერეთ, სწერეთ, ახლა თქვენი დროა ჩვენ დავბერდით...“. სწორედ აკაკის შუამდგომლობით დაიბეჭდა გაზეთ „თემში“ ახალგაზრდა მარიამის მიერ სოფლიდან გამოგზავნილი მოთხრობა „ღარიბთა ჭერქვეშ“.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი, მრავალსმეტყველი ფაქტი მარიამ გარიყულის ბიოგრაფიიდან: 1908 წელს იგი, მწერლობაში ახალფეხადგმული, „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ დამფუძნებელ კრებაზე მიიწვიეს, სადაც გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად მასაც ეკითხებოდა სამომავლო გეგმების და ეგზის დასახვა. ასე ამოიყენეს გვერდში ძველი თაობის მწერლებმა ახალგაზრდები (მარიამ გარიყულთან ერთად აქ იყვნენ სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სხვები), რათა თავიდანვე ეზიარებინათ ისინი გასული საუკუნის მწერლობის მაღალი ჰუმანისტური და ეროვნული იდეალებისათვის, რომელთა ცოცხალი მატარებლებიც ჯერ კიდევ თავად იყვნენ.

თუმცა ახალი თაობიდან ბევრს ისედაც არ აკლდა დიდი წინაპრებისადმი მოწიწება, მათი სულისკვეთებით გამსჭვალა, მაინც ამ მამაშვილურმა მზრუნველობამ თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო, კიდევ უფრო გაუმძაფრა მათ ქვეყნისა და ხალხის სამსახურის წყურვილი, თავიდანვე სწორ კალაპოტში მიუშვა ახალგაზრდების შემოქმედებითი ინტერესები. მარიამ გარიყული, ყმაწვილქალობისას, მოჯადოებული შორიდან რიდით შეჰყურებდა მის სათაყვანო ილიას, ხოლო მოწაფეობის დროს, ქუთაისის „ბულვარზე“ შემოხვედრილი აკაკის სახე მან მშობლიური სერგეთის ეკლესიის აღსავლის კარზე გამოხატულ უფლის ხატს მიამსგავსა.

ამაში დიდად გასაკვირი არაფერია. ჩვენში მწერლებს მუდამ გულმხურვალედ ეკიდებოდნენ, შეიძლება ითქვას, თაყვანს სცემდნენ. განსაკუთრებით ქართველ ქალებზე ითქმის ეს. ისინი კიდევ უნახავდნენ შთამომავლობას ეროვნულ ლიტერატურულ საუნჯეს (თვალებაშოლაშებულები იხატავდნენ ხელნაწერებს) და კიდევ შთაუნერგავდნენ თავიანთ შვილებსა თუ შვილიშვილებს მის უსაზღვრო სიყვარულს.

მარიამ გარიყულმაც ჯერ საკუთარ ოჯახში შეიგრძნო და შეისისხლხორცა ქართული მწერლობის მადლი. ქალებთან ერთად (ბებია, დეიდა) ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მამამისს, ლუკა თათეოზოვილს, თავად მწიგნობარს, მოლექსეს, დაბეჭდილი პოეტური კრებულების ავტორს. რა ვუყოთ, თუ მისი კვალი დიდხანს არ გაჰყვა ქართულ მწერლობას, სამაგიეროდ, მამის შემოქმედებითი გზნება ქალიშვილს გადაედო ისეთი ძალით, რომ მარიამს სიცოცხლეშივე მოეტანა პოპულარობა და მისი სახელი დაუვიწყარი გახადა შთამომავლობისათვის.

განა ეთქმის, ან ფსევდონიმად შეეფერება „გარიყული“ იმ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, სწორედაც, ცხოვრების ორომტრიალში იყო და დაუშურებლად შეალია დრო, ძალ-ღონე, ნიჭი თავის ოჯახს, ქვეყანას, მწერლობას?

1914 წელს „სახალხო გაზეთმა“ გამოაქვეყნა პორტრეტები საერთო წარწერით — „ქართველი მოღვაწე ქალები“. ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დარბაისელი, სანდომიანი, ლამაზი ქალის სახე. ეს მარიამ გარიყულის პორტრეტი გახლავთ. საქართველოს არასოდეს ჰკლებია მოღვაწე ქალები და მართლაც დიდი დამსახურება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა მარიამს, რომ ასეთ მშვენიერ თანავარსკვლავედში მოხვედრილიყო. ჰქონდა კიდეც.

თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის მარიამი უკვე სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობს და ამ დიდი ეროვნული ტრიბუნიდან ეხმიანება საქართველოს მშრომელებს მოახლოებული რევოლუციების მშფოთვარე დღეებში. თბილისი, ქუთაისი, გორი, ჭიათურა — სადღა არ ისმის მისი მომწოდებლური ხმა სცენიდან. ლადო მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე, შალვა დადიანი... — აი ვის უტოლებდა თავის ჯერ კიდევ სუსტ მხარს ახალგაზრდა ქალი. უტოლებდა კი, მაგრამ მათ საერთოდ როდი ეტოლებოდა. მან კარგად იცოდა თავისი ფასიც და ადგილიც თეატრში. იგი ერთი უანგარო მსახური გახლდათ, რომელმაც დიდი დრო და ენერგია მოახმარა თეატრს, თუმცა გრძნობდა და ხედავდა, რომ ეს არ იყო მისი მთავარი სარბიელი. მაინც ძმიმე გამოდგა თეატრთან განშორება.

ოცდაორი წლის მარიამი პირველ მოთხრობებს აქვეყნებს და ოჯახსაც ეკიდება. ხუთი შვილი შესძინა მან სამშობლოს, თან ინტენსიური შემოქმედებით შრომა ოდნავადაც არ გაუნელებია. მართლაც რომ, ცალი ხელით წერდა და ცალით კი აკვანს არწევდა.

მარიამ გარიყული რევოლუციურ ეპოქას მხოლოდ თავისი მოთხრობებით როდი გამოეხმაურა, მან პრაქტიკული მოღვაწეობითაც ბევრი რამ გააკეთა. იგი რევოლუციონერების მარტო თანამგრძნობი კი არა, მათი თანამებრძოლიც იყო. არალეგალური ლიტერატურის გავრცელება პროფესიულ საქმიანობად გიახდა. მეგობრობდა და ეხმარებოდა ისეთ თავგადადებულ რევოლუციონერებს, როგორებიც იყვნენ დათიკო ჭიაბრიშვილი, მაშო კაპანაძე და სხვები. მოთხრობა „ჯაშუშში“ ძირითადად რეალური ამბები აქვს აღწერილი, თავად ნანახი და განცდილი. ეს მოთხრობა 1907 წელს ცალკე წიგნად გამოიცა და მაშინვე აიკრძალა ხელისუფლების მიერ.

ვერც ამ მშფოთვარე და დაძაბულმა ცხოვრებამ (ერთს კი არა, რამდენიმე ადამიანსაც რომ ეყოფოდა), ვერც გადატანილმა უბედურებებმა (ქალიშვილი მოუკვდა, უფროსი ვაჟი სამმუელო ომში დაეღუპა) ვერ გატეხა ეს დიდი ნებისყოფის ქალი, ვერ ააღებინა მას ხელი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი ეპოქის სულით სულდგმულობდა, თავისი ხალხის ლხინისა და ჭირის მოზიარე იყო. ამან ათქმევინა მისი სამარის კართან დემბა შენგელაიას: „შენ მიდიხარ ვალმოხდილი და თუ რომელიმე ქართველ ქალს, ქართველ მუშეულს, ქართველ დედას უტარებია ეს სახელი ღირსეულად, მათ შორის შენი სახელიც ბრწყინვალეს“.

მარიამ გარიყულის შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართველი ერის ისტორიული გზისგასაყარიდან იღებს სათავეს, იმ დროიდან, როცა ერთი დიდი ეპოქა დასრულდა, მეორე კი მხოლოდ დაიწყო. და თუმცა დიდად განსხვავებული ჩანდა ეს ეპოქები, თუმცა შენაცვლების პროცესსაც ჩვეულებრივ თან სდევდა უკიდურესობანი, უარყოფის პათოსი, მტკივნეული დანაკარგები, მაინც არსებითად ეს იყო ისტორიული მემკვიდრეობითობის კიდევ ერთი, იქნებ ყველაზე მძაფრი, მაგრამ მაინც არცთუ მოულოდნელი გამოხატულება. რევოლუცია ყველგან და ყველაფერში, მათ შორის მწერლობაშიც, ყოველივე პროგრესულის კანონიერი მემკვიდრე გახლდათ. ეს თავიდანვე აშკარად იგულისხმებოდა, თუმცა ყველასთვის ნათელი მხოლოდ თანდათან, მეტნაკლებად უფრო გვიან გახდა. ქალბატონი მარიამი ერთი იმათგანი იყო, ვინც იმ ქარბორბალაში ალბათ უფრო ადამიანური გუმანით (და არა თეორიული განსწავლულობით) გრძნობდა და ხედავდა კიდეც ამ ორი ეპოქის უწყვეტ ქავშირს, გრძნობდა და ხედავდა, რომ კლასიკური მწერლობის ჰუმანისტური იდეალები სწორედ ამ ახალ ეპოქაში უნდა ხორცშესხმულიყო. ამიტომაც მისი ცხოვრების გზაზე მუდამ წმინდა სანთლებად ენთო ილიას, აკაკის, ვაჟას, აზბეგის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის შუქნათელი სახელები, მას მუდამ უსპეტაკეს ნიმუშად ედგა მათი ბენუყოფლობა ხალხისაგან, დიდი ერისაკ�a, მომავლისათვის თავდადება.

არადა, ახლის შეგრძნების ალღოც არ ღალატობდა. მისი სათაყვანებელი წინაპრების ბეჯითი მეგრძნი არც დროით მოტანილ სიტყვეთს უცხოობდა. ასე რომ, ერთგვარად მართალი იყო ტიციან ტაბიძე, როცა მაქსიმ გორკის პატივსაცემად მწერალთა კავშირში გამართულ შეკრებაზე განაცხადა, ჩვენში გორკის ორი მიმდევარი გამოჟენდა, მიხეილ ჯავახიშვილი და მარიამ გარიყულიო. თავად მარიამმაც არაერთხელ დაადასტურა თავისი გატაცება დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედებით. ფსკერის ადამიანების გამოხატვაში იგი მართლაც ბევრად არის დავალებული გორკისაგან. მისი მოთხრობების მარტო სათაურებიც კი დაგვარწმუნებს ამაში: „ცხოვრების მსხვერპლი“, „ბორკილი“, „ჩვეულებრივი ამბავი“, „ღარიბთა ჭერქვეშ“, „იმ დღესაც“, „ეამიანობა“, „შინ კი მიელოდნენ“ და სხვა. მრავალი. უბრალო ადამიანები იყვნენ მარიამ გარიყულის თანგარეწობისა და თანადგომობის წადილის აღმძვრელნი და ეს აშკარად გამოიხატა მწერლის მოთხრობებში. სწორედ ამის გამო აფასებდა მას ასე დიდად გიორგი ლეონიძე:

„...ცოდნა უბრალო ადამიანებისა თითქოს ძირეული ამოცანა იყო მხატვრის გარიყულისა. მარიამს ჰქონდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრები სიუჟეტები არა ყვირალა, ეფექტური დაბოლოებით, არავითარი პათეტიკა და გარეგანი მღელვარება, მხოლოდ მებრძოლი განწყობილება, სიმართლისათვის ბრძოლა იყო მისი მრწამსი. როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მარიამი შეურიგებელი მომუღე იყო ძალმომრეობის, იგი იყო ხალხის ინტერესების თავგამოდებული დამცველი, რეალისტი, დემოკრატი მწერალი. მომწონდა მისი ბუნებრივი ენაც, უბრალო, სადა მიწდერის ყვავილივით... მარიამ გარიყული იყო მწერალი ამ სიტყვის მთელი კეთილშობილური გაგებით. მას მწერლობაც ესმოდა როგორც სახალხო საქმე, საზოგადოებრივი მოვალეობა და ამიტომაც იყო, რომ თავის ნაწარმოებში იგი, უპირველესად, ხალხის ტკივილზე ლაპარაკობდა, როგორც მისი მზრუნველი, გულშემატკივარი. მარიამ გარიყულის მწერლობა ხალხური სულით იყო გაჟღენთილი, იგი დიდი პასუხისმგებლობით ატარებდა ქართველი მწერლის სპატიო სახელს...“.

მარიამ გარიყულის შემოქმედებითი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა საბჭოთა პერიოდში. განსაცვიფრებელი მონდომებითა და ენერგიით დაეწყო იგი ახალ ცხოვრებას, ბევრს მოგზაურობდა, უშუალო შთაბეჭდილებებით წერდა მოთხრობებს, რომანებს, პუბლიცისტურ ნარკვევებს („უსინათლო ალექსა“, „შემთხვევა“, „დურგალი“, „ახალი განთიადი“, „ანარეკლი“ და სხვა), ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას. ყველგან და ყოველთვის თავისი დიდი და მოსიყვარულე გული მიუძღოდა წინ, მის კარნახს ეწყობოდა. ამიტომაც იღვრება ასეთი სითბო და სინათლე მწერლის შემოქმედებიდანაც და ბიოგრაფიიდანაც.

მერეც დიდხანს კვებავდა ქალბატონი მარიამის პროზას საუკუნის დასაწყისის ცხოვრებით ღრმად ჩარჩენილი შფაბეჭდილებები. ამან დააწერინა არაერთი მოთხრობა და რომანი „გარღვეული მიჯნა“. საერთოდაც, იგი თავისი სულიერი წყობით, ცხოვრების წესით, განწყობილებებით იმ ძველი ქართველი მოღვაწე ქალების მოცაქულსა ჰგავდა, რომლებთან ერთადაც თავად სულ ახალგაზრდა შემოსცქეროდა მკითხველს რევოლუციამდელი გზეთის ფურცლებიდან.

„ისინი უმცროსი დები იყვნენ ეროვნული გადარჩენისათვის ხმალშემართული სახელოვანი რაინდებისა, მათი სულის მესაიდუმლეები, სათნო და ამავე დროს შეუპოვარი თანამებრძოლები. ჩვენს დღეებამდე მოიტანეს მათ გასული საუკუნის ნათელი იმედები, სიდარბაისლე, მყარი ეროვნული შეგნება და კიდევ ის, რაც სიტყვით არ გამოხატება, ძველი ნივთების სურნელივით თან სდევს მათს გახსენებას. ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ მარიამ გარიყული“; — წერდა გურამ ასათიანი.

ამგვარი პორტრეტი მარიამ გარიყულისა ნთლად იხატება მთელ მის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მეფუარებში „განვლილი გზა“. მემუარები მარტო იმით არ არის ჩვენთვის ძვირფასი, რომ ამგვარი ლიტერატურა ნაკლებ გაგვაჩნია. მისი მნიშვნელობა ჭეშმარიტად განუზომელია იმის გამო, რომ აქ სანიმუშო თავდადაბლებით არის გაშუქებული მწერლის ცხოვრება, მართლად არის წარმოჩენილი იმ ეპოქის სურათი და სული, რომელშიც მას მოუხდა მოღვაწეობა, გულწრფელი სიყვარულით არიან გაცოცხლებულნი მწერლის თანამედროვენი და მეგობრები: შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, იოსებ იმედაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ლეგან ასათიანი, გეორგი ქიქოძე, რაგდენ გვეტაძე, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები და სხვები. მარიამ გარიყულის „განვლილი გზა“ იმ წიგნთა რიგს განეკუთვნება, ყოველმა ქართველმა გულდასმით რომ უნდა წაიკითხოს.

მარიამ გარიყულს ბევრი მეგობარი ჰყავდა, ალბათ იმიტომაც, რომ მან თავად იცოდა უანგარო და გულმხურვალე მეგობრობა. ამის საოცარი ნიჭი მას თავიდანვე დაჰყვა. იგი მისი დიდი და მართალი გულის გამოსხივება გახლდათ. „ჩვენი მარიამი“ — ასე შეარქვა გალაკტიონმა და ეს სახელი სამუდამოდ შერჩა მას, რადგან იგი მართლაც მთელი არსებით ეკუთვნოდა ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც მისი მშობლიური ქვეყნის და ხალხის სიკეთესთან იყო დაკავშირებული.

მწერალმა ქალმა რჩეული თხზულებები ორ ტომად დაგვტოვა, ეს არის მისი ალალი წვლილი ქართულ მწერლობაში. ხანდაზმული მარიამი თითქოს მობოდიშებით ამბობდა, „რამდენი ხნის სიცოცხლეც არ უნდა ერგოს ადამიანს, სხვის წილ სიცოცხლეს მაინც კერ მითვისებსო“. ვერც სხვის წილ ადგილს მითვისებს ვინმე მწერლობაში. მარიამ გარიყულსაც აქვს თავისი კუთვნილი პატივით მოსილი სახელი ქართულ მწერლობაში.

„მგოსანი წრფელი, რომელსაც მართებს ცხოვრებაში უყვარდეს ერთხელ და გარდეგლად!“ — ეს სიტყვები მარიამ გარიყულის ერთ-ერთი სულ პირველი ნაწარმოებიდან არის (ესკიზი „ნარგზის ფიქრი“). ეს მაღალი მცნება ნათელმოსილმა მოქალაქემ და მწერალმა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულად ატარა და მერე ჩვენ დაგვიტოვა ანდერძად.

და ყოველივე ამის გამო ვინ არ ირწმუნებს, რომ „ჩვენი მარიამი“ არც თავისი ცხოვრების მანძილზე არასდროს ყოფილა გარიყული და არც მისი სახელი გარიყვიყვა ქართული მწერლობიდან.

გურამ გვეტაძე.

სურათებზე: მარიამ გარიყული (გ. ჯაშის ნახატი); ქვემოთ, მარცხნიდან — მარიამ გარიყული, მარიჯანი, იოსებ გრიშაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი).



ფსევდონიმს

მარიამ გარიყულის დაბადების 100 წლისთავი



ნუ ეინდობით

პრეტენდენტთა მატჩები

გუშინ ლვოვში უნდა გამართულიყო მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ნონა გაფრინდაშვილისა და ირინე ლევიტინას მეოთხედფინალური მატჩის მეათე პარტია. ლევიტინამ ტაიმ-აუტი აიღო და რეგლამენტით ეს შეხვედრა 4 აპრილს უნდა მოეწყოს. კვლავ წინაა ლევიტინა — 5:4.

ამსტერიმს ქალაქ ფელდენში, სადაც პრეტენდენტთა ორი მეოთხედფინალური მატჩი მიმდინარეობს, ნანა იოსელიანისა და ჩინელი ლიუ შილანის მეშვიდე პარტია უნდა გამართულიყო, მაგრამ შილანმა ტაიმ-აუტი აიღო და იგი დღეს უნდა მოეწყოს. ანგარიშია კვლავ 3,5:2,5 იოსელიანის სასარგებლოდ. ვასილ სმისლოვისა და რობერტ ჰიუბნერის მეხუთე პარტია კი ყაიმით დამთავრდა და ანგარიში გახდა 3:2 სმისლოვის სასარგებლოდ.

ბერლინში ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბად-კისინგენში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ლიდია სემეონოვასა (სსრ კავშირი) და მარგარეტ მურეშანის (რუმინეთი) მეოთხედფინალური მატჩის ოთხი ტურის შემდეგ ანგარიშია 3:1 საბჭოთა სასარგებლოდ.

ბუენოს ერეს ქალაქ ბალკარსეში, ალ-ბერტ ჰოლის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა „მეტალისტის“ გამარჯვებით — 2:0.

დღეს ცსკა მასპინძლობს ქუთაისის „ტორპედოს“ (ამ მატჩის რადიორეპორტაჟის მოსმენა შეგვეძლება 21 საათსა და 15 წუთიდან. II ტაიმი). ხვალ თბილისის „დინამო“ ვილნიუსში ეთამაშება ადგილობრივ „ჟალგირისს“ (რადიორეპორტაჟის მოწყობა ნავარაუდევია 20 საათსა და 30 წუთიდან). ამავე დღეს მოსკოვის „ტორპედო“ ღებულობს „არარატს“, მინსკის „დინამო“ — „ნეფტჩის“, „შახტიორი“ — „ფახთაქორს“, „დნეპრი“ — „ზენიტს“, „ნისტრუ“ — „სპარტაკს“, „ჩერნომორეცი“ — მოსკოვის „დინამოს“.

სტატისტიკის მოყვარულებს შეგახსენებთ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში ცსკას 18-ჯერ შეხვდა. აქედან 4 მატჩი მოიგო, 3 ფრედ დაამთავრა და 11 წააგო. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა 14-30. თბილისის დინამოელებმა ვილნიუსელებთან სულ 4-ჯერ ითამაშეს, აქედან 3 მოიგეს და ერთიც ფრედ დამთავრეს. ბურთების სხვაობა: 11-3.

მასპინძლობს ალიკანტე

ნანა ალექსანდრია-ტატიანა ლემაჩკოს მატჩი ყველაზე უფრო გვიან იწყება პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ ასპარეზობებს შორის. იგი დღეს, 3 აპრილს იწყება ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში და გაიმართება რიბლი-ტორეს შეხვედრასთან ერთად.

ნანა ალექსანდრია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება 1966 წლიდან, როდესაც მან, 17 წლისამ კიევში ბრწყინვალე სტილით მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ასეთი მიღწევა შესანიშნავ ქართველ მოჭადრაკეს შემდეგში კიდევ ორჯერ ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტი ალექსანდრიას მაინც მსოფლიო ბრძოლებისათვის ბრძოლამ შეუქმნა. სრულიად ახალგაზრდამ ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში, ხოლო 1971 წლიდან, მას შემდეგ, რაც პრეტენდენტები უკვე მატჩებში ავლენენ უძლიერეს, სისტემატურად მონაწილეობს ასეთ ასპარეზობებში. ვისთან არ უთამაშია ჩვენს დიდოსტატს. ორი დიდი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძესთან, პრეტენდენტთა ორთაბრძოლები ლაზარევიჩთან, კუშნირთან, ლიტინსკაიასთან, ლევიტინასთან, ახმილოვსკაიასა და იოსელიანთან. ამ ასპარეზობებმა გამოაწრთო იგი, დაუხვეწა ტექნიკა, შესძინა გამოცდილება, რომელსაც ჭადრაკში ვერაფერი შეცვლის.

უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც ალექსანდრიამ გასწია საჭადრაკო თეორიის მიღწევების დასაუფლებლად. ცნობილი სპეციალისტების შემწეობით ნანამ შექმნა მდიდარი სადებიუტო რეპერტუარი, იყენებს საინტერესო სისტემებს, რომლებთანაც ბევრი პრეტენდენტი ვერაფერს აწყობს. დაუმატეთ ამას პოზიციის საიდუმლოების შეცნობის ბრალიათი ნიჭი, დიდებული კომბინაციური „ხედვა“ და ბრძოლისუნარიანობა. ალექსანდრიას პარტიებში ჩვენ ვერ ვხვდებით სწრაფ ყაიმებს, ყოველ შეხვედრას იგი სრულიად მობილიზებული, ენერგიით აღსავსე ჩვდება.

ერთი სიტყვით, ნანა ალექსანდრია ის მოჭადრაკეა, რომელიც სრული უფლებით იბრძვის მსოფლიო ჩემპიონთან მესამედ შეხვედრისათვის. ვნახოთ, რას მოუტანს მას ეს მორიგი ცდა.

ქართველი დიდოსტატის უკანასკნელი სატურნირო გამოსვლებიდან უნდა აღინიშნოს დიდი მიღწევა ლუგანოს ოლიპიადაზე, როცა მან საუკეთესო შედეგს მიაღწია მეორე დაფაზე, ამასთან ზოგჯერ როგორც ეს ხდება კიდეც, გუნდის ლიდერის როლსაც ასრულებდა. იანგარში ალექსანდრია პირველ პრიზს დაეუფლა იაიცეში (იუგოსლავია), სადაც, ჩვეულებრივ, უძლიერესი შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს. თებერვლისა და მარტის მანძილზე ნანა ემზადებოდა თავის მწვრთნელებთან ერთად. ალიკანტეში მას დაეზმარებიან დიდოსტატი ივარ